სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№8 (306) ოქტომბერი, 2017 წელი

სტუდენტური გვერდი: გვ4

- მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFMSA) პრეზენტაცია
- „იმისთვის, რომ გაიგო რა არის სიცოცხლე, აუცილებელია გახსოვდეს სიკვდილი“
- „რადიოთერაპია“
- ფერების ფესტივალი

თეატრ „ჰიგიას“ „ქეთო და კოტე“ მონაკოში საუკეთესო სპექტაკლად დასახელდა

გვ8

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლის წარმატება

გვ8

სწავლის დაწყებისადმი მიძღვნილი ცერემონია

სტუდენტებს და კოლეგებს, განსაკუთრებით კი - პირველსემესტრელებს ახალი, 2017-2018 სასწავლო წლის დაწყება მიულოცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ. მან პირველსემესტრელებს მოკლედ გააცნო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარსული და დღევანდელობა, სტუდენტებს წარუდგინა უნივერსიტეტის საპატიო სტუმრები: უცხოელი პროფესორები ავსტრიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, უკრაინიდან. სიტყვის დასასრულს რექტორმა სტუდენტებს მიმართა: „თქვენ ბრძანდებით ჩვენი ხვალინდელი დღე! თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი დღენიადაგ ზრუნავენ იმისთვის, რომ უზრუნველყონ თქვენი მომზადება ჯანდაცვის სფეროს მაღალკვალიფიციურ და კონკურენტუნარიან კადრებად, ზრუნავენ იმისთვის, რომ ყოველდღიურად გაგიუმჯობესონ აკადემიური გარემო - სწავლის და სწავლების ხარისხი, რაშიც თავად დარწმუნდებით სასწავლო აუდიტორიებსა და კლინიკებში. თქვენზე ბევრია დამოკიდებული. გარდა სწავლისა, ჩაერთეთ უნივერსიტეტის აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში - კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში. იარეთ ტრადიციებით მომავლისკენ, რომელშიც თქვენი საკუთარი წვლილის შეტანა გევალებათ! წარმატებებს გისურვებთ ყველგან და ყოველთვის, ჩვენ ერთად ყველაფერს შევძლებთ!“

სტუდენტებს მიმართა და ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა საქართველოს ვიცე-პრემიერმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ალექსანდრე ჯეჯელავამ. მან აღნიშნა: „მინდა გავიზიარო რწმენა, რომელიც გამოთქვა ბატონმა რექტორმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წინსვლასთან დაკავშირებით. ქართული სამედიცინო განათლების სტანდარტი ძალიან მაღალია და ყოველწლიურად კიდევ უფრო მაღალ ნიშნულს აღწევს. ვგულისხმობ იმ ბარიერსაც, რომელიც წელს უნდა გადაელახათ აბიტურიენტებს თსსუ-ში მოსახვედრად. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მიხარია, რომ რამდენიმე მოწინავე უნივერსიტეტი და მათ შორის თსსუ ახერხებს ამ მაღალი სტანდარტის დაცვას. გილოცავთ სწავლის დაწყებას, რადგან სწავლაზე დიდი სიამოვნება არ არსებობს. მინდა გირჩიოთ, დაისახეთ ამბიციური მიზნები! ჩვენნაირ ქვეყნებში, რომლებმაც დიდი გასაჭირი გამოიარეს, მთავარი სირთულე ისაა, რომ ხალხი მარტივ მიზნებზე ოცნებობს. თქვენ მეტი უნდა მოითხოვოთ საკუთარი მომავლისგან. თქვენ გაქვთ პრიორიტეტი რომ სამყარო შეცვალოთ. სწორედ ეს დაისახეთ მიზნად! მედიკოსები უნდა იყვნენ არამარტო დარგის, არამედ ქვეყნის განვითარების ავანგარდში. მისასალმებელია, რომ ასეთი კომპეტენტური და მოტივირებული ხალხი იზრუნებს თქვენს განვითარებაზე. მე კი, საქართველოს მთავრობის სახელით, მინდა დაგარწმუნოთ, რომ განათლება ზოგადად, და კონკრეტულად, უმაღლესი სამედიცინო განათლება, არის და იქნება ჩვენი პრიორიტეტი“.

საზეიმო ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა თბილისის მერი დავით ნარმანია. მან ისაუბრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაღალი სტანდარტების შესახებ, გამოთქვა სურვილი, რომ თსსუ-ის თითოეული სტუდენტი მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბდება: „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ამისი ყველა პირობა არსებობს! თქვენ გვერდით იგულეთ თბილისის მერია!“

სტუდენტებს და, განსაკუთრებით, პირველსემესტრელებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს: საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, აკაკი ზოიძემ; ვიცე-პოლკოვნიკმა მარკ ჰარტელმა – აშშ-ის არმიის სამედიცინო კვლევების დეპარტამენტის ვიცე-სარდალმა; უკრაინის სამედიცინო და სტომატოლოგიური აკადემიის რექტორმა, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, პროფესორმა ვიაჩესლავ ჟდანმა; ინსბრუკის უნივერსიტეტის ტიროლის კლინიკის სამედიცინო დირექტორმა, პროფესორმა ვოლფგან ბუხბერგერმა (ავსტრია); თსსუ-ის საპატიო დოქტორმა, კოტბუსის კარლ-თიემის კლინიკის ყელ-ყურ-ცხვირის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ტომას აიჰჰორნმა (გერმანია); თსსუ-ის საპატიო დოქტორმა, კოხ-მეჩნიკოვის ფორუმის პრეზიდენტმა, პროფესორმა ჰელმუტ ჰანმა (გერმანია); მორჰაუსის სამედიცინო სკოლის მეან-გინეკოლოგიის კათედრის ხელმძღვანელმა როლანდ მეთიუსმა (აშშ); თსსუ-ის საპატიო დოქტორმა, ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკის სხივური თერაპიის და რადიოონკოლოგიის ცენტრის უფროსმა ექიმმა, ირმა კვიცარიძემ (ავსტრია); თსსუ-ის საპატიო დოქტორმა, ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის ფურსტენფელდბრუკის აკადემიური ჰოსპიტალის ქირურგიული დეპარტამენტის უფროსმა ექიმმა გიორგი გრიგოლიამ (გერმანია); ნიუ ჯერსის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ქირურგიის დეპარტამენტის პროფესორმა რამაზ დათიაშვილმა (აშშ); თსსუ-ის საპატიო დოქტორმა ნინო ჭუმბურიძემ.

თსსუ-ის სტუდენტებისთვის სასწავლო წლის დაწყების მოსალოცად მობრძანდნენ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე და ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან გამყრელიძე.

ტრადიციულად, პირველსემესტრელებს მიმართა თსსუ-ის სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნიკოლოზ გონგაძემ.

სტუმრების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ: დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მე–7 სემესტრის სტუდენტი დანიელა ფოსტერი (აშშ) და თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მე-6 სემესტრის სტუდენტი ქრისტინა დენი (ინდოეთი).

საზეიმო შეხვედრის დასასრულს თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა, გიორგი მიქაძემ, სახელმძღვანელოებითა და სამედიცინო უნივერსიტეტის სიმბოლიკით გაწყობილი სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა ათი ყველაზე რეიტინგული პირველსემესტრელი (საქართველოს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით): ერეკლე ყალიჩავა, დავით თათოშვილი, დავით ოქროპირიძე, ანანო კაკაბაძე, სოფია ფირცხალავა, ირაკლი ყაზაიშვილი, თორნიკე დავითაშვილი, მაია ხიდეშელი, გვანცა ხაჩიაშვილი და ქეთევან ფევაძე.

უცხოელი პროფესორების ვიზიტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

2017 წლის 18 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ახალი აკადემიური წელი დაიწყო. საზეიმო ღონისძიებების დაწყებამდე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა მიიღო უცხოელ პროფესორთა დელეგაცია:

თსსუ-ის საპატიო დოქტორი, პროფესორი ტომას აიჰჰორნი (კოტბუსის კარლ-თიმის კლინიკა, ბერლინის შარიტეს უნივერსიტეტის აკადემიური სასწავლო ბაზა/კლინიკა, გერმანია);

თსსუ-ის საპატიო დოქტორი, პროფესორი ფლორიან ლოე (ლანდშუტის ქირურგიული კლინიკის ხელმძღვანელი, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის აკადემიური სასწავლო ბაზა/კლინიკა, გერმანია);

თსსუ-ის საპატიო დოქტორი, პროფესორი ჰელმუტ ჰანი (კოხ-მეჩნიკოვის ფორუმის პრეზიდენტი, ბერლინი, გერმანია);

დოქტორი მარლიეს ჰოეკი (კოხ-მეჩნიკოვის ფორუმი, ლიმბახის ლაბორატორია, ბერლინი, გერმანია);

თსსუ-ის მოწვეული პროფესორი, დოქტორი იოხენ ალიუსი, (იმპლანტოლოგიისა და დენტალური ჯანმრთელობის კლინიკის ხელმძღვანელი, ნიურნბერგი, გერმანია);

პროფესორი ფრანკ ბულინგი (კარლ-თიმ-კლინიკუმ კოტბუს, ბერლინის შარიტეს უნივერსიტეტის აკადემიური სასწავლო ბაზა/კლინიკა, გერმანია);

პროფესორი ნორბერტ ვაგნერი (აახენის უნივერსიტეტი, გერმანია);

პროფესორი რონალდ კრონერი (მაგდებურგის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის ზოგადი, ვისცერალური და სისხლძარღვთა ქირურგიული კლინიკის დირექტორი, გერმანია);

დოქტორი პეტერ სტოლი (რადიაციული ონკოლოგი, მიუნხენის საუნივერსიტეტო კლინიკა, გერმანია);

თსსუ-ის საპატიო დოქტორი, პროფესორი მიხაელ ლენტცე (ბონის უნივერსიტეტის ჰოსპიტალი, პედიატრიის დეპარტამენტი, გერმანია);

პროფესორი, დოქტორი ვოლფგანგ ბუხბერგერი (ინსბრუკის უნივერსიტეტის ტიროლის კლინიკა, ავსტრია);

პროფესორი, დოქტორი პეტერ ლუკასი (ინსბრუკის უნივერსიტეტის რადიაციული თერაპიის და რადიოონკოლოგიის კლინიკა, ავსტრია);

ერჰარდ მიტშე (ODELGA MED -ის მენეჯერი, ავსტრია);

პროფესორი ვიაჩესლავ ჟდანი (უკრაინის მედიცინის და სტომატოლოგიის აკადემიის რექტორი; უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; პოლტავა; უკრაინა);

პროფესორი ლუბოვ სმაგლიუკი (უკრაინის მედიცინის და სტომატოლოგიის აკადემია, უკრაინა);

ვიცე-პოლკოვნიკი მარკ ჰარტელი (ამერიკის არმიის სამედიცინო კვლევების დეპარტამენტი, ვიცე-სარდალი, აშშ);

პროფესორი როლანდ მეთიუ (მორჰაუზის სამედიცინო სკოლის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი, აშშ);

პროფესორი შონ დარიუშნია (ინტერვენციული რადიოლოგიის დეპარტამენტი, აშშ);

პროფესორი გაბრიელა ოპრეა (გრეიდის ჰოსპიტალი, აშშ);

პროფესორი რამაზ დათიაშვილი (ნიუ ჯერსის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ქირურგიის დეპარტამენტი, აშშ);

თსსუ-ის საპატიო დოქტორი ირმა კვიცარიძე (თსსუ-ის კურსდამთავრებული, ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკის სხივური თერაპიისა და რადიოონკოლოგიის ცენტრი, ავსტრია)

თსსუ-ის საპატიო დოქტორი გიორგი გრიგოლია (კლინიკა ფიურსტენფელდბრუკის ქირურგიული განყოფილების უფროსი ქირურგი/ექიმი, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის აკადემიური სასწავლო ბაზა/კლინიკა, გერმანია)

არჩილ უნდილაშვილი (ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი (აშშ), თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელი).

რექტორის წარდგინების ფარგლებში, სტუმრებმა მოისმინეს ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და მისი მიღწევების შესახებ. მათ მადლიერება გამოხატეს მოწვევის გამო და თბილი და გულითადი შეფასება მისცეს მასპინძელ ქვეყანასა და უნივერსიტეტს.

საპატიო სტუმრებს მიესალმნენ და მომავალი თანამშრომლობის იმედი გამოთქვეს თსსუ-ის ვიცე-რექტორებმა: პროფესორმა ხათუნა თოდაძემ, პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა და ასოცირებულმა პროფესორმა ირაკლი კოხრეიძემ.

„თანამედროვე მედიცინის აქტუალური საკითხები "

2017 წლის 19 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე – „თანამედროვე მედიცინის აქტუალური საკითხები ".

კონფერენცია ოფიციალურად გახსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირაკლი კოხრეიძემ.

საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორები, ავსტრიის, გერმანიისა და აშშ-ის წამყვანი სამედიცინო კლინიკების პროფესორები: დოქტორი პეტერ ლუკასი (ინსბრუკის უნივერსიტეტის რადიაციული თერაპიის და რადიოონკოლოგიის კლინიკა, ავსტრია); ვოლფგანგ ბუხბერგერი (ინსბრუკის უნივერსიტეტის ტიროლის კლინიკა, ავსტრია); ემილ ჰენსლერი (Elekta-ს ვიცე-პრეზიდენტი, ავსტრია); თსსუ-ის საპატიო დოქტორი ირმა კვიცარიძე (თსსუ-ის კურსდამთავრებული, ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკის სხივური თერაპიისა და რადიოონკოლოგიის ცენტრი, ავსტრია); თსსუ-ის საპატიო დოქტორი გიორგი გრიგოლია (კლინიკა ფიურსტენფელდბრუკის ქირურგიული განყოფილების უფროსი ქირურგი/ექიმი, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის აკადემიური სასწავლო ბაზა/კლინიკა, გერმანია).

ქართველმა და უცხოელმა პროფესორებმა წაიკითხეს საინტერესო ლექციები სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის და ამომწურავად უპასუხეს მათ შეკითხვებს.

24 წელი სოხუმის დაცემიდან

24 წელი გვაშორებს აფხაზეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენებიდან. 2017 წლის 27 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სოხუმის დაცემის დღე აფხაზეთის ომში ბრძოლის ველზე დაცემულ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა: გიორგი მიროტაძის, ილია მელაძის, ვასილ კილაძის, ნიკოლოზ ღიბრაძის და რევაზ მუმლაძის ხსოვნის მემორიალთან აღინიშნა.

წელს მემორიალთან კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ და დაღუპული სტუდენტების ხსოვნას პატივი მიაგეს: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, სტუდენტებმა, აკადემიურმა პერსონალმა და თსსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აფხაზეთის ომში დაღუპული სტუდენტების მშობლები და თსსუ-ის კურსდამთავრებული, აფხაზეთის ომის ვეტერანი ზურაბ ლეშკაშელი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ აღნიშნა: უკვე 24 წელია, ქედს ვიხრით იმ ბიჭების სულების წინაშე, რომლებმაც წრფელი სიყვარულით მიიტანეს თავიანთი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე... ეს ბიჭები არა მარტო სამშობლოსთვის შეწირული რაინდები არიან, არამედ იმ სულიერ ფასეულობად იქცნენ, ვისკენ სწორებაც მუდამ უნდა გვქონდეს; მით უმეტეს, რომ ჩვენ ურთულესი პროფესიის ადამიანები ვართ. ექიმები და მომავალი ექიმები, ვინც ამ უნივერსიტეტის კედლებში ვერთიანდებით, ბოლომდე ვიაზრებთ, რომ სწორედ ასეთი სულის ადამიანები, როგორიც ეს ბიჭები იყვნენ, ხდებიან ნამდვილი მკურნალები... პატივისცემას გამოვხატავთ დაღუპულ სტუდენტთა მშობლების და ოჯახის წევრების მიმართ. თქვენს ოჯახებში გაიზარდნენ ბიჭები, რომლებიც უკვდავებას ეზიარნენ!"

„ჯანმრთელობის ეკოლოგიური რისკის მართვის თანამედროვე მიდგომები ურბანულ ზონებში"

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ორგანიზებით, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „ჯანმრთელობის ეკოლოგიური რისკის მართვის თანამედროვე მიდგომები ურბანულ ზონებში (სისტემებში)".

კონფერენციაში მონაწილეობდნენ დარგში მოღვაწე საერთაშორისო ექსპერტები და ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები. განიხილეს ურბანული სისტემებისთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური რისკის ტიპური ფაქტორები, მათ ზემოქმედებასთან ასოცირებულ დაავადებათა პათოგენეზის საკითხები, ურბანულ ზონებში ჯანმრთელობის ეკოლოგიური საფრთხის წყაროების იდენტიფიკაციის, ჯანმრთელობის რისკის შეფასების და მათი პრევენცია-მინიმიზაციის თანამედროვე მიდგომები და საქართველოში მათი დანერგვის ოპტიმალური გზები.

კონფერენცია გახსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ. დამსწრე საზოგადოებას ასევე მიესალმნენ: საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე კახაბერ კუჭავა, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზაზა ხუციშვილი, თსსუ-ის ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი მჭედლიშვილი, ფიზიკის, ბიოფიზიკის, ბიომექანიკის და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი თამარ სანიკიძე.

კონფერენციის მეორე დღე დაეთმო მრგვალ მაგიდას, რომელშიც მონაწილეობდნენ: განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, ჯანდაცვის სფეროში პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლები, სამეცნიერო-აკადემიური სფეროს წარმომადგენლები და უცხოელი ექსპერტები.

აკრედიტაციის განახლებული სტანდარტები

2017 წლის 22-23 სექტემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ორგანიზებით, გუდაურში ჩატარდა კონფერენცია „აკრედიტაციის განახლებული სტანდარტები და უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია".

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ხათუნა თოდაძემ და სამედიცინო განათლების კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, პროფესორმა გაიანე სიმონიამ. კონფერენციაზე განიხილებოდა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში საერთაშორისო აკრედიტაციის აღიარების პრინციპები და აკრედიტაციის განახლებული სტანდარტები.

კონფერენციაზე მოწვეულმა ამერიკელმა და ევროპელმა კოლეგებმა წარმოადგინეს აკრედიტაციის ამერიკული და ევროპული მოდელები.

მსოფლიო კონგრესი სამედიცინო უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა სამდღიანი „მსოფლიო კონგრესი ბუნებრივი ნაერთების ფარმაკოლოგიისა და ქიმიის შესახებ" თემაზე – „მომავლის მიღწევის სწორად შერჩევა".

მსოფლიო კონგრესი ჩატარდა ამერიკული საერთაშორისო ორგანიზაცია „Innovinc International Conferences" (აშშ) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ორგანიზებით.

კონგრესის ერთ-ერთი ორგანიზატორის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორის, თსსუ-ის სოციალური ფარმაციის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ნანა გორგასლიძის, ინფორმაციით ქართველ მეცნიერებთან ერთად კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს დარგის უძლიერესმა მეცნიერებმა სხვადასხვა ქვეყნიდან, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, საქართველოდან, ისრაელიდან, სინგაპურიდან, რუსეთიდან, სლოვაკიიდან, ირანიდან, პოლონეთიდან, დომინიკის რესპუბლიკიდან, იაპონიიდან, მალაიზიიდან, უკრაინიდან, იტალიიდან, სამხრეთ კორეიდან, სომხეთიდან, ნიგერიიდან და იორდანიიდან.

კონგრესის პროგრამა მოიცავდა 16 სამეცნიერო მიმართულებას, მათ შორის ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: სამედიცინო ქიმია და ფარმაკოლოგია, ნანოტექნოლოგიები, ოფთალმოლოგია, ფარმაცევტული ქიმია, სამკურნალო საშუალებების გამოყენება, ტოქსიკოლოგია, ონკოლოგია და სხვა.

საერთაშორისო ორგანიზაცია „Innovinc International Conferences" (აშშ) მთელ მსოფლიოში ატარებს საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებს, რომლებიც ეფუძნება თანამედროვეობის გამოჩენილ მეცნიერთა ცოდნასა და გამოცდილებას და საშუალებას აძლევს ექსპერტ მომხსენებლებს მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან შეიკრიბონ და ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება, ცოდნა და შესაძლებლობები.

აღსანიშნავია, რომ წელს ასეთი პატივი ერგო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტს, რომლის დირექციაც ერთი წლის მანძილზე აწარმოებდა მოლაპარაკებებს Innovinc International Conferences-ის ხელმძღვანელობასთან.

პროფესორ ზურაბ კაციტაძის საიუბილეო თარიღი აღინიშნა

მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს, პროფესორ ზურაბ კაციტაძეს, 90 წლის იუბილე მიულოცეს და სამახსოვრო საჩუქარი გადასცეს.

პროფესორ ზურაბ კაციტაძეს სიტყვით მიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ. მან განსაკუთრებულად აღნიშნა ის დიდი ღვაწლი, რომელიც ამაგდარ პროფესორს მედიკოსთა არაერთი თაობის აღზრდაში მიუძღვის: „სიამაყით და სიხარულით აღვნიშნავთ, რომ თქვენი ხანგრძლივი სიცოცხლე და მადლიანი საქმიანობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თითქმის საუკუნოვანი ისტორიის ღირსეული ფურცელია. თქვენი როლი ჩვენი ქვეყნის მედიკოსთა, სტომატოლოგთა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტთა, ფარმაცევტთა და სხვათა არაერთი ათეული თაობის წარმომადგენელთა პროფესიულ ბიოგრაფიაში უდავო და გამორჩეულია"...

90 წლის იუბილესთან დაკავშირებით, პროფესორ ზურაბ კაციტაძეს, ასევე, გადასცეს ადრესი, რომელშიც გულწრფელი სიყვარულითა და მადლიერებით კიდევ ერთხელ აღინიშნა მისი ღვაწლი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და კურსდამთავრებულთა არაერთი თაობის წინაშე.

პროფესორმა ზურაბ კაციტაძემ დიდი მადლობა მოახსენა აუდიტორიას და მშობლიურ უნივერსიტეტს სიყვარულისა და ამაგის დაფასებისთვის.

„თეთრი ხალათების ცერემონია 2017“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველსემესტრელებისთვის „თეთრი ხალათების ცერემონია“ გაიმართა.

ღონისძიება გახსნა და აუდიტორიას მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია. პირველსემესტრელებს მიულოცეს: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ; ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, მისმა აღმატებულებამ იან კელიმ; აშშ-ის არმიის სამედიცინო კვლევის დეპარტამენტის ქიმიური თავდაცვის ვიცე-სარდალმა, ვიცე-პოლკოვნიკმა მარკ ჰარტელმა, ასევე, სხვა საპატიო სტუმრებმა.

„თეთრი ხალათების“ ღონისძიებას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს: თეთრი ხალათი, როგორც წარმატებული სამედიცინო კარიერის და ექიმის შეუბღალავი ავტორიტეტის სიმბოლო, 2017 წელს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე ჩარიცხულ 120 პირველსემესტრელს ჩააცვეს: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ და საპატიო სტუმრებმა: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ; ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, მისმა აღმატებულებამ იან კელიმ; ვიცე-პოლკოვნიკმა მარკ ჰარტელმა და ღონისძიებაზე მოწვეულმა სხვა საპატიო სტუმრებმა.

პირველსემესტრელებმა მოირგეს თეთრი ხალათები, რომლებსაც თსსუ-ისა და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ემბლემები ამშვენებს.

საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, უცხოელი სტუმრები, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტები, მათ შორის, აშშ-დან დაბრუნებული მეოთხე სემესტრის სტუდენტები, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში მონაწილეობას იღებდნენ სპეციალურ პროგრამაში – „ზაფხული ემორიში“.

თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის განვითარებასა და წარმატებაში შეტანილი წვლილისთვის საპატიო ჯილდოები გადასცეს: ვიცე-პოლკოვნიკ მარკ ჰარტელს და პროგრამის კოორდინატორს, ასოცირებულ პროფესორ ეკა ეკალაძეს. ასევე, პროგრამის განვითარების თვალსაზრისით გაწეული ამაგისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს თსსუ-ის ვიცე-რექტორს, პროფესორ რიმა ბერიაშვილს.

ღონისძიების დასასრულს, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, მისმა აღმატებულება იან კელიმ და ბატონმა დავით სერგეენკომ საზეიმო ტორტი გაჭრეს.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) ხელშეწყობით 2013 წლიდან ფუნქციონირებს. სასწავლო პროგრამა ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კურიკულუმზეა დაფუძნებული. პროგრამის სტრუქტურა უადვილებს სტუდენტებს სწავლის პროცესშივე ჩააბარონ აშშ-ის სამედიცინო ლიცენზირების გამოცდის (USMLE) ორივე საფეხური ეტაპობრივად და კლინიკური გამოცდილება მიიღონ აშშ-ში. 2017 წელს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სამმა სტუდენტმა აღნიშნული გამოცდის პირველი საფეხური უმაღლესი ქულებით ჩააბარა.

„ქართულ-გერმანული ურთიერთობები – წარსულიდან მომავლისკენ“

2017 წლის 18 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, საქართველო-გერმანიის ურთიერთობების საიუბილეო წლის ფარგლებში, გაიხსნა ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია – „ქართულ-გერმანული ურთიერთობები, წარსულიდან მომავლისაკენ“.

კონფერენცია მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მჭიდრო, მრავალმხრივ და ნაყოფიერ თანამშრომლობას გერმანიის უნივერსიტეტებსა და კლინიკებთან.

აღსანიშნავია გერმანელი და გერმანიაში მოღვაწე ქართველი ექიმების და პროფესორების ღვაწლი ჩვენი ქვეყნის წინაშე. მათი მხარდაჭერით, ყოველწლიურად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები და ახალგაზრდა სპეციალისტები განათლებას იღებენ და სტაჟირებას გადიან გერმანიაში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათი პროფესიული ზრდის თვალსაზრისით; გერმანელი პროფესორები სისტემატურად და უანგაროდ მოღვაწეობენ საქართველოში: კითხულობენ ლექციებს, ატარებენ მასტერკლასებს, ქირურგიულ ოპერაციებს და სამედიცინო კონსულტაციებს.

ღონისძიების საზეიმოდ გახსნას ესწრებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, დოქტორი ჰაიკე პაიჩი.

საზოგადოებას მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია.მან აღნიშნა: „2017 წელი გამორჩეულად საამაყო წელიწადია გერმანია-საქართველოს მეგობრობა-თანამშრომლობის კუთხით. ერთი მხრივ, აღინიშნება გერმანელების საქართველოში დასახლებიდან 200 წლის იუბილე, ხოლო, მეორე მხრივ, 25 წელი გავიდა, რაც გერმანიამ პირველმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ჩვენს ქვეყანასთან. დამოუკიდებელ საქართველოში პირველი სწორედ გერმანიის საელჩო გაიხსნა. შემთხვევითი არაა, რომ სამედიცინო უნივერსიტეტმა კონფერენციას „ქართულ-გერმანული ურთიერთობები, წარსულიდან მომავლისაკენ“ უწოდა. ქართულ-გერმანულ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი წვლილი ხომ სწორედ გერმანიისა და საქართველოს წამყვანმა უნივერსიტეტებმა შეიტანეს, მათ რიცხვში კი განსაკუთრებული ადგილი სწორედ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეკუთვნის. სამედიცინო უნივერსიტეტს ორმხრივი თანამშრომლობა აკავშირებს გერმანიის 20 უნივერსიტეტსა და საუნივერსიტეტო კლინიკასთან, ყველაზე მეტი – სამოცამდე სტუდენტი და რეზიდენტი სწორედ გერმანულ უნივერსიტეტებში გადის სტაჟირებას ყოველწლიურად. სამედიცინო უნივერსიტეტში 2012 წლიდან დაიწყო და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს პროექტი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა უცხოელი წამყვანი პროფესორების 350-მდე ვიზიტი სამედიცინო უნივერსიტეტში და მათ შორის 80 გერმანელი პროფესორია. სამედიცინო უნივერსიტეტის და საერთოდ, ქართული მედიცინის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის 21 გერმანელ პროფესორს მიენიჭა თსსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება. ამჟამადაც, სამედიცინო უნივერსიტეტს სტუმრობენ გერმანელი პროფესორები, რომლებიც თავიანთ ამერიკელ, ავსტრიელ და უკრაინელ კოლეგებთან ერთად ჩაატარებენ ლექციებს და გაუზიარებენ მდიდარ გამოცდილებას სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს და რეზიდენტებს“.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, დოქტორი ჰაიკე პაიჩი

რექტორის შემდგომ დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში დოქტორი ჰაიკე პაიჩი, თსსუ-ის უცხოური ენების აკადემიური ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ნინო აბრალავა, თსსუ-ის საპატიო დოქტორი, პროფესორი, მიხაელ ლენტცე (გერმანია), თსსუ-ის საპატიო დოქტორი, პროფესორი ტომას აიჰ-ჰორნი (გერმანია), თსსუ-ის საპატიო დოქტორი გიორგი გრიგოლია (გერმანია), თსსუ-ის საპატიო დოქტორი, პროფესორი ფლორიან ლოე (გერმანია), თსსუ-ის პროფესორი რამაზ შენგელია (საქართველო).

შეხვედრის ბოლოს, გაიმართა ორენოვანი (ქართულ-გერმანული) დოკუმენტური ფილმის ჩვენება, რომელიც ასახავდა ორი ქვეყნის, საქართველოსა და გერმანიის, სამედიცინო საზოგადოების 200 წლოვან ურთიერთობებს ისტორიულ ჭრილში. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტური ფილმი გადაღებულია სამედიცინო უნივერსიტეტის დაკვეთით ტელეკომპანია „პულსის“ მიერ.

19 სექტემბერს კონფერენციის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უცხოელმა პროფესორებმა წაიკითხეს ლექციები.

კონფერენციის მეორე დღეს აუდიტორიას მისასალმებელი სიტყვით მიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ხათუნა თოდაძემ: „ჩვენი ორდღიანი კონფერენცია ეძღვნება თსსუ-ის ნაყოფიერ ურთიერთთანამშრომლობას გერმანიის უნივერსიტეტებსა და კლინიკებთან. საერთაშორისო ურთიერთობები ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია, რადგან ეს საშუალებას გვაძლევს, სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღონ სწავლის პროცესსა და საუნივერსიტეტო აქტივობებში სხვადასხვა ქვეყანაში. ეს კიდევ უფრო მაღალ ნიშნულზე სწევს უნივერსიტეტში სწავლების და, შესაბამისად, მედიცინის დონეს საქართველოში“, – აღნიშნა მან.

მისასალმებელი სიტყვის შემდეგ თსსუ-ის საპატიო დოქტორმა, ბონის უნივერსიტეტის ჰოსპიტალის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორმა, დოქტორმა მიხაელ ლენტცემ (გერმანია) წაიკითხა ლექცია:„ბავშვთა ჯანდაცვის საკითხები გერმანიასა და საქართველოში, – დღევანდელი და ხვალინდელი დღე“.

კონფერენცია დასრულდა, კონტაქტები კი გრძელდება და ქართულ-გერმანული ურთიერთობების ფარგლებში კვლავ არაერთი საინტერესო ღონისძიების თუ პროექტის განხორციელების მომსწრენი გავხდებით მომავალშიც.

სტუდენტური გვერდი

IFMSA-ს პრეზენტაცია

2 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFMSA) პრეზენტაცია. IFMSA აერთიანებს ხუთი კონტინენტის 124 ქვეყნის 1 300 000 მედიკოს სტუდენტს.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები. კონფერენციის მიზანი იყო მათთვის IFMSA-ს შესახებ ინფორმაციის მიწოდება და დაინტერესება მისი მუშაობით.

პრეზენტაციას უძღვებოდა IFMSA-ის ვიცე-პრეზიდენტი ნიკოლოზ გვაზავა, რომელმაც ისაუბრა ორგანიზაციის მიზნებსა და გამოწვევებზე, უკვე ჩატარებულ და მომავალში დაგეგმილ პროექტებზე. გამომსვლელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო IFMSA-ს სტრუქტურა, დეპარტამენტები და თითოეული დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ მსურველებმა გაიარეს რეგისტრაცია მათთვის საინტერესო სფეროს ხელმძღვანელთან.

მსოფლიო მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია, დაკომპლექტებული ახალი წევრებით და განახლებული ძალებით, ინოვაციური იდეებითა და დიდი მონდომებით, იწყებს ახალ სასწავლო წელს.

ელენე იველაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის
III სემესტრის სტუდენტი

ფერების ფესტივალი

2017 წლის 28 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, გაიმართა ერთ-ერთი ყველაზე მხიარული და მასშტაბური გასართობი ღონისძიება ,,ფერების ფესტივალი", რომელშიც მონაწილეობა მიიღო თსსუ-ის 1500-მა სტუდენტმა. ულამაზესი დღე ჯგუფ ,,არას" კონცერტით დაიწყო. პირველსემესტრელებს მიულოცეს სწავლის დაწყება, ისინი სამედიცინო უნივერსიტეტის მეგობრული ოჯახის სრულუფლებიანი წევრები გახდნენ, რაც გაათმაგებულ პასუხისმგებლობას ნიშნავს დასახული მიზნის მისაღწევად. სტუდენტური თვითმართველობა კი სამომავლოდ მრავალ საინტერესო, შემეცნებით და გასართობ ღონისძიებას გეგმავს.

თათია კაკულია,
მედიცინის ფაკულტეტის
მე- 2 სემესტრის სტუდენტი

„რადიოთერაპია"

მედიკოსები თავიანთი სფეროს გარდა, ხელოვნების მრავალ დარგში მოღვაწეობენ. ბევრი მათგანი მღერის, წერს, თეატრში მოღვაწეობს. ხელოვან ექიმებს ტრუენტებს უწოდებენ. თსსუ-ს ბევრი ასეთი სტუდენტი აღუზრდია, მათ შორის, მედიცინის ფაკულტეტის მე-7 სემესტრის სტუდენტებიც არიან. სულ მალე საქართველოს რადიო 107.9 -ზე მსმენელი მოუსმენს ნინო ზივზივაძისა და მარიამ ბერიკაშვილის საავტორო გადაცემა „რადიოთერაპიას". წამყვანები ყოველ შაბათს, 12 საათზე, მოგიყვებიან ინოვაციური მიღწევების და მკურნალობის ახალი მეთოდების შესახებ. მსმენელთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად გასცემენ პასუხს ტაბუდადებულ კითხვებს. პირველი გადაცემის სტუმრები იქნებიან დავით თათოშვილი, მედიცინის ფაკულტეტის ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი, გიორგი ღოღობერიძე, ბევრისთვის მისაბაძი მაგალითი, კარდიოქირურგიის რეზიდენტი და რეზიდენტურის გამოცდის რეკორდსმენი, ასევე თსსუ-ის ასოცირებული პროფესორი გიორგი ჭიჭინაძე, რომელიც ლექტორის გადმოსახედიდან მოგვითხრობს თუ რა გამოწვევები შეიძლება ჰქონდეს მედიცინის სფეროს. რადიო საინტერესო და განსხვავებული გარემოა მომავალი მედიკოსებისთვის, რაც დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს წამყვანებს. თუმცა, ცხოვრება სიახლეებითაა სავსე. „რადიოთერაპია" სწორედ ასეთი სასიამოვნო მოულოდნელობებით იქნება სავსე.



მარიამ ბერიკაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის მე-7
სემესტრის სტუდენტი

„გაიღე სისხლი, შენთვის – წვეთი, სხვისთვის სიცოცხლეა"

4 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, თსსუ-ის სტუდენტებმა სისხლის უანგარო დონაციის აქციაში მიიღეს მონაწილეობა. აქციაში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტები.

აქციის დევიზი იყო – „გაიღე სისხლი, შენთვის წვეთი, სხვისთვის სიცოცხლეა".

https://www.facebook.com/Tsmuself

გვერდი მოამზადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის VII სემესტრის სტუდენტმა, სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ზივზივაძემ

„იმისთვის, რომ გაიგო სიცოცხლის არსი, აუცილებელია გახსოვდეს სიკვდილი"

არსებობს სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ?! ამ კითხვაზე პასუხს, სავარაუდოდ, ვერასდროს გავიგებთ, თუმცა, ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ ის, თუ როგორ აგრძელებენ ადამიანები მატერიალურ ყოფას დედამიწაზე სიკვდილის შემდეგაც კი.

2014 წელს ამსტერდამში მეტად უცნაური და საინტერესო მუზეუმი გაიხსნა, სახელად „Body Worlds". დავიწყოთ იქიდან, რომ აქ 200-ზე მეტი ადამიანის სხეულის ანატომიური ნიმუშია, რომლებიც დეტალურად გვიჩვენებენ ჩვენი სხეულების, ორგანოების მოქმედებას და საერთოდ იმას, თუ როგორ რთულადაა სხეული მოწყობილი.აქ შეგვიძლია ვიგრძნოთ, რომ მიუხედავად რასისა, კანის ფერისა და გარეგნული ნიშნებისა, „შიგნიდან" ყველა ერთნაირები ვართ. დიახ, „შიგნიდან", რადგან, რაც არ უნდა რთული წარმოსადგენი იყოს, მუზეუმში ნახავთ ადამიანის სხეულებს კანის გარეშე – „გატყავებულებს", მილიმეტრებში „დაჭრილს", თითოეულ სისხლძარღვს, კუნთების სხვადასხვა მოქმედებას და ა.შ.



არ შემიძლია არ ვახსენო ადამიანი, ვისაც ეკუთვნის ამ მუზეუმის შექმნის იდეა. ესაა გერმანელი ანატომი გიუნტერ ვონ ვონ ჰაგენსი. სწორედ, მან შექმნა ურთულესი პროცესი – პლასტინაციის მეთოდი, რომლის საშუალებით ეს ყველაფერი განახორციელა.

რა თქმა უნდა, მუზეუმს ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა გზად... მაშინ, როცა მსოფლიოში უამრავ ექიმს და უბრალოდ დამთვალიერებელს აოცებს გიუნტერ ჰაგენსის „ნამუშევრები", ზიზღსა და შიშს იწვევს. ბევრი ადამიანი აკრიტიკებს და მკრეხელობათაც მიიჩნევს ამ ყველაფერს, თუმცა გიუნტერ ვონ ჰაგენსი სულ სხვანაირად ფიქრობს... მისი აზრით, გარდაცვლილთა ნეშტების ასეთი სახით წარდგენა ცოცხალ ადამიანთა წინაშე არავის შეურაცხყოფს და ყოველ ექსპონატს სათანადო პატივისცემით ეპყრობა, რადგან ესმის ამ ყველაფრის მნიშვნელობა. გთავაზობთ ამონარიდს მისი ინტერვიუდან:

„მე ანატომი ვარ! არასდროს მოვეპყრობი ექსპონატებს ზიზღით და არაადამიანურად. უბრალოდ, მე ყველაფერს ისე ვაჩვენებ როგორც არის, გული – გულად რჩება, მუცელი – მუცლად. მე არ დავცინი გარდაცვლილ სხეულებს, მე მათ ვანიჭებ ღირსებას."

„ეს, არ არის შიშის ოთახი, ყველაფერი პირიქით უნდა გავიგოთ. მე მინდა ადამიანებს გული გადავუშალო და საკუთარი თავს შევახვედრო, დავანახო როგორები არიან ისინი."

„იმისთვის, რომ გაიგო, რა არის სიცოცხლე, აუცილებელია გახსოვდეს სიკვდილი".

„პლასტინირებული სხეული – ეს არ არის უბრალოდ გვამი, ის რაღაც უფრო მეტია. ახალი არსებაა, რომელსაც პლასტინაციამ ახალი სიცოცხლე მიანიჭა".

„ექსპონატები ცოცხალივით უნდა გამოიყურებოდეს, ეს არის მთავარი პრინციპი. ვინაიდან მე განზრახული მაქვს შევავსო მარადიული უფსკრული სიცოცხლესა და სიკვდილს შორის".

როგორც გითხარით, შეუძლებელია უპასუხო კითხვას – არსებობს თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ, მაგრამ უამრავი ადამიანი თავის სხეულს მუზეუმს „ჩუქნის", რადგან მათივე თქმით, ის აზრი, რომ სიკვდილის შემდეგ მათი სხეულები საუკუნეების მანძილზე ხალხს გააოცებს, აღაფრთოვანებს, შეაშფოთებს და ამავდროულად შეაყვარებს თავიანთ ბუნებას, უკვე მარადიული სიცოცხლეა.

ანა ძუძჩიშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის
I სემესტრის სტუდენტი

ქირურგები უცხოეთში

„ვცდილობ, შეძლებისდაგვარად შევასრულო მამის ანდერძი..."

არაერთი ქართველი ექიმი წარმატებით მოღვაწეობს უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში. ბუნებრივია, ისინი ცდილობენ არა მხოლოდ შეინარჩუნონ უწყვეტი კავშირი სამშობლოსთან, არამედ ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში შორეული უცხოეთიდან შეიტანონ წვლილი და ქართული საქმის კეთება ცხოვრების წესად აქციონ. ერთი მათგანია პროფესორი გიორგი გრიგოლია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელმაც წარმატებით გააგრძელა მოღვაწეობა გერმანიაში, სადაც გაიარა პროფესიული სრულყოფის ყველა საფეხური და დღეს განყოფილების უფროსი ექიმია მიუნხენის უნივერსიტეტის ერთ-ერთი აკადემიური ბაზის, კლინიკუმ ფურსტენფელდბრუკის, ქირურგიულ კლინიკაში. მისი განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება ნიჭიერი ქართველი სტუდენტების ხელშეწყობაა - რამდენიმე წლის წინ დააარსა მამის, პროფესორ ნოდარ გრიგოლიას სახელობის სტიპენდია თსსუ-ის წარჩინებული სტუდენტებისთვის; ჩვენ შევხვდით პროფესორ გიორგი გრიგოლიას და რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

– ბატონო გიორგი, რამდენად კმაყოფილი ბრძანდებით საქართველოში ამჟამინდელი ვიზიტით?

– უპირველეს ყოვლისა, გულითადი მადლობა მოწვევისთვის. რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის დიდი პატივი და დაფასებაა, რომელიც, პირადად, ნაკლებად დავიმსახურე.

როგორც ყოველთვის, ჩემი ამჟამინდელი სტუმრობაც საქართველოში, მნიშვნელოვანი და სასიხარულოა. უპირველეს ყოვლისა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ ჩვენს საამაყო უნივერსიტეტს, საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ასეთი აშკარა აღმავლობის პერიოდი არ ჰქონია, რაც, უთუოდ, უნივერსიტეტის ოქროს ერად უნდა შეფასდეს!

მსოფლიოს 65 ქვეყნის მოქალაქე, კერძოდ კი, საერთო ჯამში, დაახლოებით – მესამედი სტუდენტების საერთო რაოდენობისა, წარმატებით ეუფლება ცოდნას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში; ჩვენი უნივერსიტეტის ასობით კურსდამთავრებული წარმატებით საქმიანობს მსოფლოს წამყვანი უნივერსიტეტების კლინიკებში; უდიდესი შრომა და გარჯაა ინვესტირებული იმისთვის, რომ მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებიდან ინტენსიურად სტუმრობდეს ჩვენს ალმა მატერს სახელგანთქმული პროფესურა, რათა ამაღლდეს სტუდენტთა თეორიული ცოდნა. სიამაყით უნდა ითქვას, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში სტუდენტების უპრეცედენტოდ დიდმა რაოდენობამ აიმაღლა პრაქტიკულ-თეორიული ცოდნა მსოფლიოს არაერთი მაღალგანვითარებული ქვეყნის საუნივერსიტეტო კლინიკებში. ბედნიერი ვარ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თანადგომა შეუფასებლად დიდია ამ თვალსაზრისით. რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მმართველი გუნდის და, უპირველეს ყოვლისა, ღრმად პატივცემული ბატონი რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას ღვაწლი ამ დიდ ეროვნულ საქმეში.

– თუ შეიძლება, მოკლედ თქვენ მიერ განვლილი გზის შესახებ რომ გვიამბოთ...

– ჩემ მიერ განვლილი გზა განსაკუთრებით გამორჩეული არაფრითაა იმ მრავალი ქართველი ექიმის მოღვაწეობისგან, ვინც დღეს წარმატებით ეწევა საექიმო საქმიანობას გერმანიაში.

1999 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და უკვე 2000 წლის თებერვლიდან დაიწყო ჩემი სამედიცინო ცოდნის გაღრმავება მიუნხენის ლუდვიგ/მაქსიმილიანსის უნივერსიტეტის (udwig-Maximilians-Universität München LMU) ცენტრალური კლინიკის, კლინიკუმ გროსჰადერნის ბაზაზე. 2004 წელს მქონდა დიდი პატივი, როგორც პირველ ქართველს, დამემთავრებინა მსოფლიოს ამ ერთ-ერთი სახელგანთქმული უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. მომდევნო წლიდან უკვე ვიწყებ ასისტენტ-ექიმად მუშაობას ამავე უნივერსიტეტის ცენტრალურ ქირურგიულ კათედრაზე. ამ დიდი პატივისა და ნდობისთვის უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მასწავლებელს, მსოფლიოში სახელგანთქმულ ქირურგს და დასტაქარს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ

დასასრული მე-5 გვ. -ზე

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი-2017

24 სექტემბერს, რიყეზე გაიხსნა „მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი – 2017 “, მასში საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიებებით აქტიურად იყო ჩართული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

საგამოფენო სივრცეში დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის უახლეს სამედიცინო და ტექნოლოგიურ მიღწევებს; სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრში შექმნილ და დამუშავებულ სამეცნიერო-საინფორმაციო მასალებს; ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ბიოელექტრულ იმპედანსმეტრს, რომელიც წარმოადგენს სხეულის შემადგენლობის შეფასების თანამედროვე არაინვაზიურ მეთოდს; თსსუ-ის კლინიკური უნარ-ჩვევების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შემთხვევებს; იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ორიგინალურ სამკურნალო პრეპარატებს და მისი ტაბლეტირების პროცესს; ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში მცენარეებიდან გამოყოფილ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომელთაგანაც მომავალში ახალი სამკურნალწამლო საშუალებები შეიქმნება; პროფესორ გელა სულაბერიძის მიერ შექმნილ და დაპატენტებულ კომპანია „მარგის“ დაბალკალორიულ, ბუნებრივი, მცენარეული ბოჭკოებით მდიდარ საკვებ პროდუქტებს.

ღონისძიებები 26 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაგრძელდა. თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ მარინა მამალაძეს საჯარო ლექციამ – „თანამედროვე ოდონტოლოგიის გამოწვევები და დაგროვილ პრობლემათა გადაწყვეტის რაციონალური გზები“, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში ჩატარდა ღია კარის დღე –„ქართული ფარმაცია, მეცნიერება და წამალი – ტრადიციების პატივისცემით მომავლისკენ“. სტუმრებს ინსტიტუტის ტრადიციები გააცნო ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ნანა გორგასლიძემ. თსსუ-ის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის პროფესორ ირაკლი ჩხიკვიშვილის ლექციამ – „ქრონიკული დაავადებების პროფილაქტიკა ფუნქციური პურის მეშვეობით“, დამსწრეთა დაინტერესება გამოიწვია.

„გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შემთხვევები“ – ასე ერქვა კონკურს-ვიქტორინას, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მე-3 და მე-6 სემესტრის სტუდენტებმა. ვიქტორინის მომზადებას და ჩატარებას ხელმძღვანელობდა თსსუ-ის კლინიკური უნარ- ჩვევების ცენტრის დირექტორი, პროფესორი ირმა მანჯავიძე. ვიქტორინის მიმდინარეობა შეაფასა თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გადაუდებელი მედიცინის განყოფილების ხელმძღვანელმა, ექიმმა-რეანიმატოლოგმა, გიორგი ბერიაშვილმა.

საინტერესო იყო თსსუ-ის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში გამართული ღია კარის დღე: „ჩემი ექსპერიმენტი“ და „სტოპ, ბაქტერია“ (ხელმძღვანელები, მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები: ბორის კორსანტია, მაკა გონგაძე, ნანა დაბრუნდაშვილი). ღონისძიებას ესწრებოდნენ საშუალო სკოლების მოსწავლეები, რომელთაც საშუალება მიეცათ აღმოეჩინათ სრულიად ახალი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში.

27 სექტემბერს, გაიმართა კონფერენცია – „ჯანსაღი ცხოვრების წესი, მეცნიერული მტკიცებულებები და საკამათო საკითხები“. იგი ფესტივალის ფარგლებში, თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის ორგანიზებით (ხელმძღვანელი, პროფესორი ლუიზა გაბუნია), მესამედ ჩატარდა.

კონფერენცია – „ინოვაციები მედიცინაში“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტის და თსსუ-ის გერიატრიის დეპარტამენტის ორგანიზებით (ხელმძღვანელი, პროფესორი გაიანე სიმონია) ჩატარდა. იგი საინტერესო და მრავალფეროვანი თემატიკით იყო მნიშვნელოვანი, კერძოდ, ეხებოდა თანამედროვე ბიომედიცინის მთავარ მიღწევებს და მათი გამოყენების პერსპექტივებს კლინიკურ პრაქტიკაში. 29 -30 სექტემბერს ბათუმსა და გორში ჩატარდა სამეცნიერო პიკნიკები: „პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შემთხვევები“, რომელსაც თსსუ-ის კლინიკური უნარ-ჩვევების დეპარტამენტი ხელმძღვანელობდა (პროფესორი ირმა მანჯავიძე), სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარდათ საჩვენებელი ტრეინინგი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის, რომელმაც მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია და ზოგიერთმა მათგანმა სამომავლო პროფესიად მედიცინა აირჩია.

1 ოქტომბერს, ფესტივალის ფარგლებში, მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის მუზეუმში, ჩატარდა ღია კარის დღე. მუზეუმს ეწვივნენ სტუდენტები, საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, რომლებსაც მეგზურობას უწევდა მუზეუმის დირექტორი, თსსუ-ის მედიცინის ისტორიისა და ბიოეთიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი რამაზ შენგელია. დღე დასრულდა თსსუ-ის სახალხო ანსამბლისა და გოგონათა ანსამბლ „დეკას“ მიერ შესრულებულმა სიმღერებით.

29 სექტემბრიდან – 1 ოქტომბრის ჩათვლით, ქ. ბათუმმა უმასპინძლა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას – „მომავლის ტექნოლოგიები და სიცოცხლის ხარისხი“, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იყო. კონფერენციაში მონაწილეობდა 10-ზე მეტი ქვეყნის 270 დელეგატი, წარმოდგენილი იყო 100-ზე მეტი ზეპირი და პოსტერული მოხსენებები.

ჩატარდა ტელე-ხიდი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ონკოლოგიური დიაგნოსტიკის ლაბორატორიის სამედიცინო დირექტორმა (კალიფორნია) მანანა კვეზერელმა, წაიკითხა ლექცია თემაზე – „მოლეკულური დიაგნოსტიკის პრინციპები სიმსივნეების პერსონალური მკურნალობისთვის“. ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად დაისახა სამომავლო საქმიანობის პერსპექტივები.

„მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი“ 10 ოქტომბერს გრანდიოზული ღონისძიებით დასრულდა – გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში დაჯილდოვდნენ წლის საუკეთესო მეცნიერები. ასევე, გამოვლინდნენ ფოტოკონკურსში და ჟურნალისტიკის სტუდენტურ კონკურსებში გამარჯვებულებიც.

წელს პირველად, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, საქართველოში სამეცნიერო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დამსახურების სერტიფიკატები გადაეცა 24 მეცნიერს.

სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერების დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დამსახურების სერტიფიკატები გადაეცათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, კვებეკის (კანადა) უნივერსიტეტის პროფესორს ვახტანგ მშვილდაძეს და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იმუნოლოგიის დეპარტამენტის მეცნიერთა ჯგუფს: პროფესორ თინათინ ჩიქოვანს, ასოცირებულ პროფესორებს ია ფანცულაიას, ნინო ქიქოძეს და ნონა ჯანიკაშვილს.

მოამზადა მანანა ფხალაძემ

ქირურგიული ოფთალმოლოგია

„ვცდილობ, შეძლებისდაგვარად შევასრულო მამის ანდერძი...“

დასაწყისი მე-4 გვ. -ზე

კარლ/ვალტერ იაუხს. უფლის შეწევნით და ოთხწლიანი შრომის შედეგად შევძელი წარმატებით დამემთავრებინა სადოქტორო თემა და, 2005 წელს, მიუნხენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე დავიცავი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ჩემი შვიდწლიანი მოღვაწეობა მიუნხენის უნივერსიტეტის ქირურგიულ კათედრაზე წარმატებით დასრულდა 2012 წელს და მივიღე ზოგადი ქირურგის, ე.წ. Facharzt für Allgemeinchirurgie-ის, სტატუსი. აქტიურად ვმოღვაწეობ როგორც განყოფილების უფროსი ექიმი მიუნხენის უნივერსიტეტის ერთ-ერთი აკადემიური ბაზის, კლინიკუმ ფურსტენფელდბრუკის, ქირურგიულ კლინიკაში. ეს გახლავთ ჩემი მოკრძალებული და არაფრით გამორჩეული განვლილი გზა, რომელმაც სამუდამოდ დამაკავშირა ჩემს მეორე სამშობლოსთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან.

დღესდღეობით კი ასეა: როდესაც მე ფიქრით საქართველოში ვარ, გული გერმანიაში ძგერს და როდესაც გული საქართველოშია, ჩემი ფიქრები გერმანიასა და მიუნხენს დასტრიალებს.

– როგორ გაიხსენებთ მამას... მისი ავტორიტეტი და მდიდარი მემკვიდრეობა რამდენად მნიშვნელოვანი იყო თქვენი პროფესიული გზის განსაზღვრის და შემდგომ – პროფესიონალად ჩამოყალიბების თვალსაზრისით?

– დიდი მადლობა ამ კითხვისთვის... სიტყვა „მამა“ ჩემთვის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მშობელი.... პროფესორი ნოდარ გრიგოლია... სანამ ცოცხალი ვარ ეს სახელი არის და იქნება ჩემი აჩრდილიც, მფარველი ანგელოზიც, დიდი სიამაყეც და ამავე დროს - დიდი ტკივილი... ის იყო ჩემი პირველი მასწავლებელი ქირურგიაში, საუკეთესო მრჩეველი, დიდი კრიტიკოსი და, ასევე, – გამამხნევებელი... მამის გარდაცვალების შემდეგ უფრო მეტად დავრწმუნდი მისი დარიგებების ჭეშმარიტებაში.... მან, თავისი განვლილი გზით, დამანახა თუ როგორ შეიძლება სოფლიდან ჩამოსულმა 17 წლის ბიჭმა დაიწყო ცხოვრება საერთო საცხოვრებლიდან, დაუღალავად განვლო ცხოვრების ეკლიანი გზა შრომით, თავმდაბლობით და მუდმივად ოპტიმიზმით სავსემ; გახდე საუკეთესო პროფესიონალი და კარიერის მწვერვალს მიაღწიო ისე, რომ არ დაივიწყო არც შენი მასწავლებელი და არც ის ადამიანები, ვისაც თუნდაც მცირედი წვლილი მიუძღვით შენს წინსვლაში და, რაც ყველაზე მთავარია, მიუხედავად უამრავი ხელოვნურად შექმნილი ბარიერისა, რომელიც მას წინ დახვედრია არაერთი ადამიანისგან, ჩემდა გასაოცრად, არასოდეს დაუკარგავს წონასწორობა და ოპონენტს იმავე მეთოდით არასოდეს დაპირისპირებია!

მახსენდება ჩვენი ბოლო საუბარი, რომელიც მამის გარდაცვალებამდე 2 დღით ადრე შედგა და დაახლოებით ორ საათს გასტანა. ეს ერთგვარი დამშვიდობება იყო... თითქოს არაფერი ნიშანდობლივი, მაგრამ მაინც ყოვლისმომცველი...

ოთხ ძირითად საკითხს გამოვყოფდი ამ სატელეფონო საუბრიდან: მან განსაკუთრებით დიდი პატივისცემით მოიგონა თავისი მასწავლებელი და გამზრდელი, სახელოვანი ქირურგი, აკადემიკოსი ეგნატე ფიფია; მამის თხოვნით, უნდა გამომეჩინა ჩემდამი თუნდაც მტრულად განწყობილი ადამიანებისადმი პატიების და შენდობის უნარი, რამეთუ უფალი განსჯიდა თავად ყველაზე მართებულად!.. აუცილებლად უნდა გამეგრძელებინა და ძალისხმევა არ დამეშურებინა ქართულ-გერმანული ურთიერთობების მეტად განმტკიცებისთვის, რათა მეტ ქართველ სტუდენტს და ახალგაზრდა ექიმს მისცემოდა გერმანიაში ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა; დაბოლოს, მისი სურვილი იყო, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიმექცია და გავფრთხილებოდი ჯანმრთელობას, რაც აუცილებელი იყო დასახული მიზნების განსახორციელებლად... ერთმანეთს საბოლოოდ დავემშვიდობეთ. ახლა მხოლოდ სიზმარში თუ ვხედავ და ჩემი ცხოვრებით ვცდილობ მისი ანდერძი შეძლებისდაგვარად შევასრულო. რამდენად გამომდის, დაე, უფალმა და ხალხმა განსაჯოს.

– არაერთი სტუდენტი გავაცანით მკითხველს, რომელთაც, თქვენი პროგრამით და პროფესორ ნოდარ გრიგოლიას სახელობის სტიპენდიით, გერმანიაში სწავლის და სტაჟირების შესაძლებლობა მიეცა. ალბათ თვალს ადევნებთ მათ საქმიანობას, პროფესიულ ზრდას... რას იტყოდით მათ შესახებ?

– ჩემი დამსახურება ამ საქმეში, როგორც მოგახსენეთ, უმნიშვნელოა. ყველა ამ სტუდენტმა დაიმსახურა, რომ ყოფილიყო პროფესორ გრიგოლიას სახელობის სტიპენდიატი, ან - პროგრამის მონაწილე. ბედნიერი ვიქნები, თუკი თუნდაც ერთი ამ ახალგაზრდა კოლეგათაგანი იამაყებს და მადლიერი იქნება ამ პროექტის.

– ბუნებრივია, თქვენს აქტივობას და დიდ სურვილს, მისცეთ თსსუ-ის ნიჭიერ ქართველ სტუდენტებს უცხოეთში ცოდნის შეძენის და პროფესიული დახელოვნების შესაძლებლობა, მამის ხსოვნის პატივისცემასთან ერთად, მშობლიური უნივერსიტეტისადმი განსაკუთრებული სიყვარულიც განაპირობებს. ორიოდ სიტყვით ჩვენი უნივერსიტეტის და ამ დამოკიდებულების შესახებაც რომ გვითხრათ...

– მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ცხოვრების დაახლოებით ნახევარი ჩემს მეორე სამშობლოში, გერმანიაში განვლილ, დაუვიწყარი და წარუშლელია ჩემი ცხოვრების გზა საქართველოში. აქ ავიდგი ფეხი, აქ შევითვისე ცხოვრების საბაზისო ცნებები, დასახული მიზნების რეალიზება უკვე მოვახერხე ჩემს მეორე სამშობლოში. უფალმა ინება, რომ ცხოვრების ამგვარი ჯვარი მეტარებინა, რითაც ვამაყობ და ბედნიერი ვარ. რა თქმა უნდა, ჩვენმა ალმა მატერმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, უდიდესი როლი ითამაშა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში, რასაც საფუძველი სნორედაც რომ მის კედლებში ჩაეყარა! ამ უნივერსიტეტის არაერთი ღირსეული პროფესორის თუ დოცენტის დამსახურებაა, რომ მედიცინის სიყვარული ჩემში ასე ძლიერი იყო! კიდევ ერთხელ დიდი სიამაყით აღვნიშნავ, რომ დღეს ჩვენი უნივერსიტეტი განიცდის დიდ პროგრესს და ღირსეულად იმკვიდრებს ადგილს მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების გვერდით, რაშიც ლომის წილი უნივერსიტეტის რექტორს, ღრმად პატივცემულ ბატონ ზურაბ ვადაჭკორიას მიუძღვის, რომლის დაუღალავი შრომის შედეგია უპრეცედენტო გაფართოება ორმხრივი კონტაქტებისა არაერთ სახელგანთქმულ უნივერსიტეტთან მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

– რას ურჩევდით სტუდენტებს?

– ჩემო ძვირფასო კოლეგებო, თავს ვერ მივცემ უფლებას რამე გასწავლოთ, რამეთუ ღრმად ვარ დარწმუნებული თითოეული თქვენთაგანის დიდ გონიერებაში, მხოლოდ ჩემი გამოცდილება მინდა გაგიზიაროთ, რათა სათანადო დასკვნები გამოიტანოთ და უფრო ადვილად გადალახოთ ცხოვრებისეული სირთულეები.

იმ დიდ და რთულ გზაზე, რომელიც აირჩიეთ, მრავალი გამარჯვება გელით. ამისთვის კი გესაჭიროებათ დიდი შრომა, მოთმინება და მომავლის რწმენა! თქვენ გაქვთ პატივი მოუფრთხილდეთ და იზრუნოთ იმაზე, რაც ყველაზე ძვირფასია ადამიანისთვის და რასაც უკან ვერასდროს დააბრუნებთ! მომავალი თქვენ გეკუთვნით და არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე მადლიერებით აღსავსე დალოცვა თქვენ მიერ განკურნებული ყოფილი პაციენტის!

ესაუბრა
ნატო გოლქვაძე

მნიშვნელოვანი აღიარება

ახლახან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნევროლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ეპილეფსიის საერთაშორისო ბიუროს საქართველოს განყოფილების პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნათელა ოკუჯავა ეპილეფსიის საერთაშორისო ბიუროს ევროპის რეგიონის ვიცე-თავმჯდომარედ აირჩიეს. არჩევნების შედეგები დამტკიცდა ეპილეფსიის 32-ე მსოფლიო კონგრესზე ბარსელონაში.

ჩვენ შევხვდით ნათელა ოკუჯავას და ამ მნიშვნელოვან აღიარებასა და ეპილეფსიის მკურნალობის თანამედროვე მიდგომებსა თუ ტენდენციებზე გავესაუბრეთ.

– უპირველესად გილოცავთ ისეთ მნიშვნელოვან წარმატებას, როგორიც ეპილეფსიის საერთაშორისო ბიუროს ევროპის რეგიონის ვიცე-თავმჯდომარედ არჩევაა... გვიამბეთ ამ არჩევნების და ბარსელონაში ჩატარებული კონგრესის შესახებ...

– ეპილეფსიის საერთაშორისო კონგრესი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სამეცნიერო შეკრებაა ეპილეფსიის დარგში, რომელიც ეწყობა ყოველ 2 წელიწადში ორი უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაციის – ეპილეფსისიასთან მებრძოლი საერთაშორისო ლიგის და ეპილეფსიის საერთაშორისო ბიუროს ორგანიზებით. სწორედ ეს ორი ორგანიზაცია განსაზღვრავს დარგის პოლიტიკას – ეპილეფსიასთან მებრძოლი საერთაშორისო ლიგა პროფესიული და სამეცნიერო კუთხით, ხოლო ეპილეფსიის საერთაშორისო ბიურო – უფრო ჯანდაცვის ორგანიზაციის, განათლების თუ სოციალური თვალსაზრისით. ბუნებრივია, ეს ორი ორგანიზაცია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და მთელი მსოფლიოს მასშტაბით აქვთ წარმომადგენელი ორგანიზაციები. ყოველ 4 წელიწადში, კონგრესამდე, ტარდება ახალი არჩევნები, როგორც ლიგის, ისე – ბიუროსი. გამგეობის არჩევნებში მონაწილეობენ წარმომადგენელი ორგანიზაციები სხვადასხვა რეგიონიდან, ბუნებრივია, მათ შორის – ჩვენც. კონგრესზე ხდება არჩევნების შედეგების წარმოდგენა; ხოლო ყრილობაზე, რომელიც ტარდება კონგრესის წინ, მტკიცდება არჩევნების შედეგები. იმდენად, რამდენადაც წლების მანძილზე ეპილეფსიის საერთაშორისო ბიუროს საქართველოს განყოფილების პრეზიდენტი გახლდით, ეს კონტაქტები, თანამშრომლობა აღნიშნულ ორგანიზაციებთან მუდმივად არსებობდა. წლევანდელ შეკრებაზე მოხდა ახალი პრეზიდენტის, მარტინ ბროდის, არჩევა, რომელიც მსოფლიო მასშტაბის მეცნიერი გახლავთ დიდი ბრიტანეთიდან, კერძოდ – შოტლანდიიდან. მას აქვს დიდი სურვილი და მონდომება, რომ ახალი ერა დაიწყოს დარგის განვითარებასა და, შესაბამისად, ორგანიზაციის მუშაობაში. ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ამ ადამიანის თხოვნით და წარდგენით მივიღე მონაწილეობა აღნიშნულ არჩევნებში.

ეპილეფსიის საერთაშორისო კონგრესს, ტრადიციულად, ორმაგი დატვირთვა აქვს – ერთი მხრივ, ეს გახლავთ უდიდესი სამეცნიერო ფორუმი, მეორე მხრივ – ღონისძიება, რომელზეც წყდება დარგის საორგანიზაციო საკითხები: არჩევნების შედეგების დამტკიცება, ახალი გაიდლაინებისა და პოლიტიკური დოკუმენტების მიღება... ფორუმს ესწრებოდა ევროპარლამენტის რამდენიმე წევრი, რომელიც ეპილეფსიის მიმართებით ევროპის პოლიტიკის განსაზღვრას და ლობირებას ახდენს. როგორც მოგახსენეთ, ყოველ 4 წელიწადში იცვლება ამ ორგანიზაციების გამგეობა, 2017 წელი სწორედ ასეთი დრო გახლდათ, როცა კონგრესის წინ მოეწყო არჩევნები და შემდეგ, აღნიშნულ კონგრესზე, მოხდა მისი შედეგების დამტკიცება.

– ამ მნიშვნელოვან ფორუმზე, ალბათ, საუბარი შეეხო დარგის განვითარების პერსპექტივას, მკურნალობის უახლეს მეთოდებსა თუ ტენდენციებსაც...

– დიახ, ცხადია. როგორც მოგეხსენებათ, ეპილეფსია რთული დაავადებაა და მისი მართვაც, ხშირ შემთხვევაში, რთულია. განიხილებოდა, როგორც ახალი პრეპარატების კლინიკური კვლევები და მისი იმედისმომცემი შედეგები, ასევე, კლინიკური კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია და სანდოობა. საუბარი იყო, ასევე, ქირურგიული მკურნალობის მეთოდების გაუმჯობესებაზე, წინასწარ პაციენტის შესწავლა- მონიტორინგის აუცილებ-

ლობაზე, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ ქირურგიული ჩარევის შემთხვევაში, რომ ეს ჩარევა დაგეგმილი იყოს შესაბამისად. ცნობილია, რომ საქართველოში არსებობს გადაჭარბებული იმედი ეპილეფსიის ქირურგიული ჩარევის მიმართ. ასეთი მკურნალობა ეფექტიანი შეიძლება იყოს პაციენტების ძალიან მცირე რაოდენობაში – ქირურგიულ ჩარევას ექვემდებარება პაციენტების დაახლოებით 5%. დანარჩენ შემთხვევაში მივმართავთ მედიკამენტურ მკურნალობას.. ყურადღება გამახვილდა დიაგნოსტიკის მნიშვნელობაზე – სწორ დიაგნოზს და ეპილეფსიის ტიპის სწორად განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სწორი მკურნალობის შემთხვევაში პაციენტების 70-დან 80%-მდე სრულებით თავისუფლდება გულყრებისგან; მათ შორის, დაახლოებით 40%-ს აქვს შანსი, რომ სრულად განიკურნოს, რაც, როგორც აღვნიშნეთ, დამოკიდებულია სწორ დიაგნოზსა და მკურნალობაზე. 4 დღე გრძელდებოდა კონგრესი და შეჯამდა ის ტენდენციები, გაიდლაინები, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ. ეპილეფტოლოგებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ დამტკიცდა ეპილეფსიისა და ეპილეფსიური გულყრების ახალი კლასიფიკაცია, რომელიც ახალ პრინციპებს ეფუძნება. აქამდე მოქმედებდა 1981-89 წლებში მიღებული კლასიფიკაცია. შეიძლება ითქვას, რომ კონგრესი ამ თვალსაზრისით ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობის გახლდათ...

– ახალი საპასუხისმგებლო მოვალეობა, ბუნებრივია, მეტ შრომას, დატვირთვას, აქტივობას უკავშირდება, რაც, გარკვეულწილად, თქვენს გეგმებზეც აისახება...

– დიახ, ეპილეფსიის საერთაშორისო ბიუროს ევროპის რეგიონის ვიცე-თავმჯდომარედ არჩევა, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რაც, ბუნებრივია, გაზრდის ჩვენი საქმიანობის არეალს. ამ პოზიციიდან მეტი ძალისხმევა იქნება საჭირო ჯანდაცვის სისტემაში ეპილეფსიის მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა-განხორციელების თვალსაზრისით. განსაკუთრებით გამოიკვეთება ჩვენი როლი არა მარტო ევროპის რეგიონის, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ურთიერთობის კუთხით, რადგან ეს ქვეყნები ნაკლებად ჩართულია ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში. სამომავლო გეგმები, ასევე, დაკავშირებულია კლინიკურ თუ სამეცნიერო საქმიანობასთან: ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში, რომლის ბაზაზეც თსსუ-ის ნევროლოგიის დეპარტამენტი ფუნქციონირებს, მოქმედებს ეპილეფსიის და ძილის მედიცინის ცენტრი (SEIN – SKUH), რომელიც ჩვენი და ჰოლანდიის ეპილეფსიის ინსტიტუტის (SEIN) ერთობლივი პროექტია; ასევე, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჩართულობით ხორციელდება სამეცნიერო კვლევა უძილობის კოგნიტურ ქცევითი თერაპიის შესახებ. ეპილეფსიის და ძილის მედიცინის ცენტრი, რომლის ხელმძღვანელიც გახლავართ, უზრუნველყოფილია მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობით, კვალიფიციური მედპერსონალით, ჰოლანდიაში ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციაში მუდმივი ტრეინინგის შესაძლებლობით, ხარისხის კონტროლითა და პაციენტის კვლევის ერთობლივი პროტოკოლებით. ერთი სიტყვით, მაღალი პროფესიული სტანდარტით. ასე რომ, გვაქვს სერიოზული გეგმები როგორც სამეცნიერო, ისე ძილის დარღვევების და ეპილეფსიის მკურნალობისა და კვლევის თვალსაზრისით.

ესაუბრა
ნატო ბოლქვაძე

სიყვარულის წიგნ

...პირველი დღეები ახსენდება უნივერსიტეტის კედლებში – სითბო-სიყვარულით აღსავსე პროფესორ-მასწავლებლები, თავიდანვე შეუმცდარი გუმანით რომ „გრძნობენ“ ხოლმე გამორჩეულებს და იმპულსის მიმცემნი ხდებიან კიდეც მათთვის საუკეთესო მომავლის შესაქმნელად, მერე კი – მათი დიდი იმედით და თანადგომით გაცილებას იხსენებს სამედიცინო უნივერსიტეტიდან, საგზლად ისევ სიყვარული, განათლება და ინტელექტი რომ გააყოლეს შორეული უცხოეთისაკენ...

...ურთულესი გზით სიარული ირჩია...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთმა საუკეთესო კურსდამთავრებულმა, რეზო ჯორბენაძემ, ბონის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, რეზიდენტურაც იქვე დაასრულა და ორი წელი ბაიროითის კლინიკაში, შემდეგ კი ლაიფციგის გულსისხლძარღვთა ცენტრის კარდიოლოგიურ განყოფილებაში მუშაობდა კარდიოლოგად. ამჟამად ქალაქ ტუბინგენშია, ქვეყნის საუნივერსიტეტო კლინიკათა საუკეთესო ხუთეულში რომ ერთიანდება...

ახლახან კი იგი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კარდიოლოგიისა და შინაგან სნეულებათა საუკეთესო სპეციალისტი – სამშობლოს ესტუმრა. შეხვედრის ადგილად მშობლიური უნივერსიტეტი ირჩია, ნიშნად დიდი პატივგებისა შესანიშნავი პედაგოგებისა და კოლეგების მიმართ.

ექოკარდიოგრაფიის ლექციების სამდღიანი და ძალზე დატვირთული კურსის წაკითხვა ვერ მოხერხდებოდა, რომ არა სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორის, მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ქალბატონი ელენე აბზიანიძის, თანადგომა, – აღნიშნავს რეზო; როგორც კი გავანდე სურვილი ლექციების ჩატარებისა, ქალბატონმა ელიკომ მხარდაჭერა მაშინვე გამომიცხადა. მის განსაკუთრებულ მზრუნველობას ყველა გრძნობს, ვისაც ოდნავი სიკეთის გაკეთება მაინც სურს თავისი ქვეყნის და მშობლიური უნივერსიტეტისთვის. ეს მეტად კრეატიული ქალბატონი არას იშურებს, იყოს არა მარტო ხელშემწყობი ამგვარ საქმეებში, არამედ დიდი სურვილი აქვს, მისაწვდომად აქციოს ყველაფერი ახალი და თანამედროვე ქართული სამედიცინო საზოგადოებისა თუ მომავალი მედიკოსებისთვის...

სწორედ იმ თოთხმეტწლიანი გამოცდილების შესახებ ესაუბრა ახალგაზრდა ექიმი ქართულ სამედიცინო საზოგადოებას ლექციების კურსში – „ექოკარდიოგრაფიის საფუძვლები და სიახლეები, კლასიკური და კაზუისტიკური ნოზოლოგიები ექოკარდიოგრაფიაში“, რაც გერმანიის საუკეთესო კლინიკებში მუშაობისას შეიძინა. თეორიულ მასალასთან ერთად, გამომსვლელმა წარმოადგინა უაღრესად საინტერესო ვიდეოთეკა ექოკარდიოგრაფიის თითქმის ყველა მიმართულებით. ლექციები გაჯერებული იყო მრავალფეროვანი, კლასიკური და კაზუისტიკური კარდიოლოგიური ნოზოლოგიების ამსახველი ექოკარდიოგრაფიული კვლევების ვიდეო-ჩანაწერებით, თავად მომხსენებლის მიერ ჩატარებული ექოკარდიოგრაფიული არქივიდან.

მსმენელი საზოგადოება – გამოცდილი კარდიოლოგები, კარდიოქირურგები, შინაგან სნეულებათა სპეციალისტები, ანესთეზიოლოგები და ოჯახის ექიმები ერთხმად საუბრობდნენ ახალგაზრდა კოლეგის საუკეთესოდ ჩატარებული ლექციების შესახებ, აღნიშნავდნენ რეზო ჯორბენაძის ფართო თვალსაწიერისა და დიდი ერუდიციის შესახებ, რაზეც ნათლად მეტყველებს მისი სწორად დალაგებული, კარგად ნაფიქრი, უამრავი საინტერესო შემთხვევით დატვირთული, გამართული ქართულით წარმართული ბრწყინვალე გამოსვლები.

დიდი საქმე იტვირთა რეზომ – ადვილი არაა რამდენიმე დღე შეუსვენებლად ისაუბრო უახლესი ინფორმაციის მისაწოდებლად და გააკეთო მაქსიმუმი – საკუთარი ცოდნა-გამოცდილების გასაზიარებლად, თანაც, ყველაფერი – უშურველად და უანგაროდ...

კითხვაზე, თუ რას ურჩევდა მომავალ კოლეგებს, რეზო ამბობს: – მთავარია, ადამიანს უყვარდეს თავისი საქმე, უყვარდეს პაციენტი და იხარჯებოდეს მისთვის. გადამწყვეტია მუდმივი ძიება და საკუთარი ცოდნით გაუნელებელი უკმაყოფილების განცდა, რაც თვითგანვითარების საწინდარია. დანარჩენი თავისთავად მოდის. მიხარია, რომ საქართველოში მედიცინა წინ მიდის – აქ ხომ სულ რამდენიმე წლის წინათ ის ვითარება არ იყო, რაც დღესაა, ბევრი სიახლეა დანერგილი კარდიოლოგიაში. ამჟამად არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც კეთდება ინვაზიური კარდიოლოგიური გამოკვლევები, რაზედაც ჩემი სტუდენტობის დროს ვერც ვიოცნებებდი...

სწორედ რომ მისი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების საუკეთესო ნიმუშია ამჟამინდელი თუ სამომავლოდ დაგეგმილი „შინ“ სტუმრობა – „სანამ საბოლოოდ დავბრუნდები, შორიდან გავაკეთებ საქმეს. ჩემი შემდგომი ჩამოსვლის მიზანი გახდება დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე პრინციპები კარდიოლოგიაში, – საუბრობს რეზო; რაც შეეხება ექოკარდიოგრაფიის კურსს, როგორც აუდიტორიას შევპირდი, იგი დამკვიდრდება ყოველწლი-

დასასრული მე-7 გვ. -ზე

დასაწყისი მე-6 გვ. -ზე

ურ უსასყიდლო კურსად. ჩვენი აქტიურობითა და დახმარებით, რაც უფრო შევუწყობთ ხელს რაინდალეულები, ატლანტის-ოკეანე-გადალახულები თუ საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ნებისმიერი სხვა ექიმი ქართულ სამედიცინო საზოგადოებას, მით უფრო მჭიდრო იქნება კავშირი ჩვენს შორის და მით უფრო ნაყოფიერად მოვემსახურებით საერთო საქმეს - ქართულ მედიცინას“, – ამბობს იგი.

სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებზეც ვისაუბრეთ, მათი საქმიანობით დავინტერესდი უცხოეთში – „ქართველ ექიმებს, ზოგადად, დიდი პოტენციალი გაჩნიათ, გნებავთ, კლინიკური, გნებავთ, სამეცნიერო თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით კარგად იგრძნობა გერმანიაში, სადაც მრავლად არიან ჩვენები, რომლებიც არათუ ჩამოუვარდებიან, ტოლს არ უდებენ უცხოელებს და საუკეთესოთა შორის საუკეთესონი არიან, მიუხედავად იმისა, რომ სულ სხვა პირობებში აქვთ სწავლა მიღებული, ვიდრე იქაურ კოლეგებს“, – ამბობს ჩემი რესპოდენტი და თან კიდევ ერთ დიდ მიზანს გვიმხელს – დიდი სურვილი აქვს, სწორედ მათი თანადგომით, უახლოეს მომავალში, თბილისში, მშობლიურ სამედიცინო უნივერსიტეტში, ქართველი ექიმებისათვის დაგეგმოს ლექციების ციკლი არა მხოლოდ კარდიოლოგიაში, არამედ შინაგანი მედიცინის ყველა სფეროში, სადაც განიხილება შესაბამისი პროფილის დიაგნოსტიკური და თერაპიული სიახლეები.

ნამდვილად ეროვნული საქმეა, იზრუნო თანამემამულეებზე, მოიძიო დარგში არსებული ყველა სიახლე და ხელი შეუწყო მათ დანერგვას სამშობლოში. დიდ სიყვარულს შეუძლია მხოლოდ ამის კეთება. ადვილი წარმოსადგენია, რა რესურსი, შრომა და თავდადებაა საჭირო ამგვარი საქმეების დასაგვირგვინებლად, მაგრამ მხოლოდ რეზო ჯორბენაძის მსგავს ინტელექტუალებს, სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ახალგაზრდებს ხელეწიფებათ მსგავსი რამ. „მოსახლეობისთვის მაღალხარისხიანი სამედიცინო დახმარების მიღება უნდა გახდეს ქვეყნის ჯანდაცვის სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტი, მსგავსად უცხოეთისა, ვთქვათ, გერმანიისა. სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ უკვე საქართველოშიც იდგმება გარკვეული ნაბიჯები ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით, სადაზღვევო სისტემა იხვეწება და ალბათ სულ მალე გახდება კიდევ უფრო მოქნილი და ეფექტური,“– დასძენს რეზო.

... ისევ გერმანიაში დაბრუნდა ოჯახთან ერთად – გული სწყდებოდა, რომ ამჯერად მეუღლესთან და შვილებთან, ლილისა და იოანესთან, ერთად ვერ მოახერხა ქვეყნის თვალწარმტაცი ადგილებით ტკბობა, მაგრამ, ვფიქრობთ, უფრო დიდი საქმის გაკეთება შეძლო, უკეთესი გაგრძელება რომ ექნება სამომავლოდ... თუმც მანამდე კვლავ გეგმავს ჩამოსვლას, ამჯერად მუსიკალური ვიზიტით – საფორტეპიანო კონცერტის გამართვას აპირებს საყვარელი მსმენელისათვის. კლასიკური მუსიკა ხომ მისი დიდი გატაცებაა, სულის სიმების ამხმიანებელი, ერთგვარად განმტვირთველიც ურთულესი ყოველდღიურობისგან...

ნარმატებები გვინდა ვუსურვოთ რეზო ჯორბენაძეს, შესანიშნავ პიროვნებას და მედიკოსს, ადამიანს, რომლის მსგავსნი ასაზრდოებენ ქვეყნის სამომავლო განვითარებას, თუმც, დროებით ქვეყნისგან შორს მყოფნი, ისევ და ისევ სამშობლოზე მოფიქრალნი და მასზე მზრუნველნი...

დარეჯან კომლაძე

პროფესორი რომანოზ სვანიშვილი - 90

90 წელი შეუსრულდა კინეზოთერაპიისა და სპორტული მედიცინის დარგის ცნობილ მეცნიერს, პედაგოგსა და ორგანიზატორს, პროფესორ რომანოზ სვანიშვილს.

მისი შრომითი და სამეცნიერო საქმიანობა დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტთან (უნივერსიტეტი), რომელიც 1951 წელს დაამთავრა და იმავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში ფიზიკური აღზრდის, საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზიკულტურის კათედრაზე (იგი პროფესიონალი კალათბურთელიც იყო). ნიჭიერმა და პერსპექტიულმა ახალგაზრდამ თავიდანვე მიიქცია კათედრის გამგის, პროფესორ გიორგი მღებრიშვილის, ყურადღება – ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლის წლებში დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა, პრაქტიკულ მეცადინეობებს უტარებდა სტუდენტებს.

მის მიერ კათედრაზე დამკვიდრდა პრაქტიკული მეცადინეობებში სწავლების ჩატარების ახალი მეთოდიკა. მისი მონოგრაფია, „სპორტსმენთა გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა“ პროფესორმა ალექსანდრე დემბომ მნიშვნელოვან ნაშრომად მიიჩნია და დამსახურებული ადგილი მიუჩინა დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის მე-15 ტომში.

ასპირანტურის დასრულების შემდეგ კათედრაზე ასისტენტად მიიღეს, საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ კი კათედრის ხელმძღვანელად დაინიშნა და მნიშვნელოვნად გარდაქმნა სასწავლო პროცესი. რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკურ ბაზას წარმოადგენდა, ყველა განყოფილებაში ფართოდ გაშალა აღდგენითი მკურნალობა ფიზიკური რეაბილიტაციის ძირითადი მეთოდის – კინეზოთერაპიის (სამკურნალო ფიზკულტურა) გამოყენებით. პროფესორ რ. სვანიშვილის ინიციატივითა და აკადემიკოს ო. ღუდუშაურის დახმარებით, კათედრაზე (ამჟამად სამედიცინო რეაბილიტაციის და სპორტული მედიცინის დეპარტამენტი) გამოიყო საწოლები, როგორც დღის სტაციონარისთვის, ასევე იმ პირებისთვის, რომელთაც დამოუკიდებლად პროცედურებზე ყოველდღიურად სიარული არ შეეძლოთ.

ბატონი რომანოზის ხელმძღვანელობით, პროფესიულ დონეზე მიმდინარეობდა პაციენტთა, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. სასახელო ტრადიციების მქონე დეპარტამენტი დღესაც წარმატებით აგრძელებს მუშაობას.

პროფესორ რომანოზ სვანიშვილის სამეცნიერო საქმიანობაზე ნაშრომთა სიმრავლეც მიგვანიშნებს – ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე 280 სასწავლო და სამეცნიერო შრომა აქვს გამოქვეყნებული (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და სტატიები სამეცნიერო ჟურნალებში), ასევე, 650-ზე მეტი სტატია პოპულარულ ჟურნალებში, ამის საფუძველზე მიენიჭა პროფესორის წოდება, რაც იმ პერიოდში იშვიათი შემთხვევა იყო. მის მიერ გამოცემული სასწავლო სახელმძღვანელო განახლებული სახით სამჯერ გამოიცა, ბოლო სახელმძღვანელო – „სპორტული მედიცინა და კინეზოთერაპია“, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ზურაბ კახაბრიშვილის თანაავტორობით, გამოვიდა, რომელიც დღესაც ითვლება დარგში ქართულ ენაზე გამოცემულ ძირითად სახელმძღვანელოდ.

ბატონი რომანოზი საქართველოში სპორტულ მედიცინაში თანამედროვე მეცნიერების ფუძემდებელია. აღსანიშნავია მის მიერ შემუშავებული გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური გამოკვლევის კომბინირებული ერთმომენტიანი ტესტი, რომელიც ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მასობრივი შემოწმების დროს მათი ფიზიკური მომზადების დასადგენად გამოიყენებოდა, რასაც დღესაც ხშირად მიმართავენ სპორტულ მედიცინაში.

აღსანიშნავია პროფესორი რომანოზ სვანიშვილის, როგორც დარგის ხელმძღვანელის მიერ გაწეული ორგანიზაციულ-მეთოდური მუშაობა. პროფესორების: გ. მღებრიშვილისა და ა. ზოიძის შემდეგ ის ორჯერ აირჩიეს რესპუბლიკის სპორტული მედიცინისა და სამკურნალო ფიზკულტურის სამედიცინო საზოგადოების თავმჯდომარედ, შემდეგ – პრეზიდენტად. წლების განმავლობაში მუშაობდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპორტული მედიცინისა და სამკურნალო ფიზკულტურის მთავარ სპეციალისტად, მე-4 სამმართველოში ფიზიკური რეაბილიტაციის მთავარ კონსულტანტად, საკავშირო სპორტული მედიცინის და სამკურნალო ფიზკულტურის ასოციაციის ვიცეპრეზიდენტად, კინეზოთერაპიაში კონსულტაციებს უწევდა საავადმყოფოების და პოლიკლინიკების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შესაბამისი პროფილის სამედიცინო პერსონალს. დღეს იგი საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრია.

ბატონ რომანოზის მიერ განვლილი ცხოვრება, სამეცნიერო, პედაგოგიური და კლინიკური მოღვაწეობა დასტურია იმ დიდი შრომისა, რაც გაწეული აქვს სპორტსმენთა სამედიცინო უზრუნველყოფისა და პაციენტთა აღდგენითი მკურნალობის მიმართულებით.

შესანიშნავ, განათლებულ, ახალგაზრდებზე მზრუნველ და დიდი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებას უზომოდ უყვარს თავისი საქმე. სასიხარულოა, რომ ტრადიცია გრძელდება – მისი ქალიშვილი თსსუ-ის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტის თანამშრომელია.

დეპარტამენტის თანამშრომლები ვცდილობთ, ღირსეულად გავაგრძელოთ ბატონი რომანოზ სვანიშვილის მიერ დაწყებული მნიშვნელოვანი საქმიანობა.

ბატონ რომანოზს ვუსურვებთ ჯანმრთელობას. იგი დღესაც ჩვენი მრჩეველი და კეთილი მეგობარია. ცდილობს, მუდმივად მხარდაჭერა გამოუცხადოს ჩვენს დეპარტამენტს, რისთვისაც უსაზღვროდ მადლიერები ვართ.

პროფესორი
ნაირა ჭაბაშვილი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

პედიატრთა ფორუმზე

მედიცინის პატრიარქის, შესანიშნავი პედიატრის და ღირსეული მამულიშვილის, პროფესორ ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის, ხსოვნას მიეძღვნა პედიატრიის და ბავშვთა სოციალური დაცვის ფონდის ხელმძღვანელის, პროფესორ გიორგი ჩახუნაშვილის, მიერ ორგანიზებული კონფერენცია, რომელსაც, ტრადიციულად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მასპინძლობს ხოლმე.

კონფერენციის მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი მოხსენებები თანამედროვე მედიცინის, კერძოდ, პედიატრიასა და მისი მომიჯნავე დარგებში არსებული სიახლეების, ასევე, საკუთარი კლინიკური გამოცდილების საზოგადოებისთვის გაცნობას ისახავდა მიზნად.

ორგანიზატორებმა, მედიცინის დარგში შეტანილი წვლილისთვის და მომავალ მედიკოსთა აღზრდა-განათლების საქმეში დიდი დამსახურებისთვის, თსსუ-ის პროფესორები, ბატონები ვაჟა გვანცელაძე და რამაზ კუტუბიძე, მნიშვნელოვანი ჯილდოებით – „ოქროს სტეტოსკოპით“ და „ოქროს ლანცეტით“ დააჯილდოეს.

ბოლოს, პროფესორმა ირაკლი ფავლენიშვილმა, ბატონი ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის ოჯახს, კერძოდ, მის ქალიშვილს, პროფესორ მარინე კვეზერელ-კოპაძეს, გადასცა „მადლობის სიგელი“, ანუ მადლიერი ქართული სამედიცინო საზოგადოების სიმბოლური საჩუქარი ბატონი ავთანდილის ხსოვნისადმი.

წარმოგიდგენთ

თსსუ-ის უცხოური ენების ცენტრმა UNIcert®-ის აკრედიტაცია ისევ წარმატებით გაიარა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრმა, უკვე მეორედ, წარმატებით გაიარა საერთაშორისო UNIcert®-ის აკრედიტაცია, რომელიც ჩაატარა ევროპის უნივერსიტეტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ენათა ცენტრების და უცხოური ენების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გაერთიანება AKS-ის წევრმა UNIcert®-მა.

პირველად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრმა, 2014 წელს მიიღო UNIcert®-ის აკრედიტაცია. ამით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრს მიენიჭა უფლება, გაეცა UNIcert®-ის სერტიფიკატები ინგლისურ (UNIcert® II (B2) და Icert® III (C1) და გერმანულ (UNIcert® II (B2) და UNIcert® III (C1) ენებში. სერტიფიკატი UNIcert® ეფუძნება ენების სწავლების ერთიან ევროპულ ჩარჩო-პროგრამას და დონეებს, ისე, რომ მასში დამატებით გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლის სპეციფიკა. სერტიფიკატი აღიარებულია გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისას, ასევე ევროპაში სტუდენტთა მობილობისას და მათი სპეციალობით დასაქმების დროს.

2014 წლის აკრედიტაციას ვადა 2017 წლის 30 სექტემბერს ამოიწურა, რის შემდეგაც უცხოური ენების ცენტრმა მეორედ გაიარა აკრედიტაცია.

UNIcert®-ის სააკრედიტაციო საბჭოს კომისიამ, რომლის წევრებიც გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტის ენების ინსტიტუციების ხელმძღვანელებს წარმოადგენდნენ, დაადასტურეს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრის საგანმანათლებლო და საგამოცდო მეთოდიკა დაფუძნებულია უმაღლესი სასწავლებლებისთვის განკუთვნილ სპეციფიკურ უცხოური ენების სწავლებაზე და შეესაბამება ტრანსპარანტულობის და პროფესიონალიზმის თანამედროვე ხარისხობრივ სტანდარტებს. ამის საფუძველზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უფლებამოსილია, გასცეს უნივერსიტეტის უცხოური ენების სერტიფიკატი UNIcert®.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი გახლავთ თსსუ-ის სტუდენტების, მაგისტრებისა და დოქტორანტებისთვის, რომლებიც ხშირად, პრაქტიკას გადიან ევროპის წამყვან კლინიკებში (გერმანია, ავსტრია, აშშ, საფრანგეთი, ბელგია, თურქეთი, ბულგარეთი, უკრაინა და ისრაელი). ენების მაღალ დონეზე ფლობა, პროფესიულ სამედიცინო ცოდნასთან ერთად, მათი შერჩევის აუცილებელი წინაპირობაა, რადგან ევროპის ქვეყნებში მხოლოდ შესაბამისი ენის მცოდნე სპეციალისტებს ენიჭებათ უპირატესობა და ეძლევათ შემდგომი წინსვლის საშუალება.

UNICERT
Universal Certification Solutions

UNIcert® II-ze (B2 დონე)

კურსზე დაშვების წინაპირობა:

უცხო ენაში 90 საათიანი საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსი;

მისაღები გამოცდა (მინიმუმ B 2.1 დონე);

ფასიანი ინტენსიური კურსები UNIcert®-ის პროგრამით, 12 კვირა, სულ 72 სთ (კვირაში 6 სთ.);

შემაჯამებელი გამოცდა – UNIcert II ®-ის სერტიფიკატი (დონე B 2).

UNIcert® III-ზე (ჩ1 დონე)

კურსზე დაშვების წინაპირობა:

უცხო ენაში 90 საათიანი საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსი;

მისაღები გამოცდა (მინიმუმ B 2.2 დონე)

B2 სერტიფიკატის მქონე პირთათვის;

ფასიანი ინტენსიური კურსები UNIcert®-ის პროგრამით, 20 კვირა, სულ 120 სთ (კვირაში 6 სთ.);

Semajamebeli gamocda - UNIcert® III-is sertifikati (C1 done).

„ქეთო და კოტე“ მონაკოს თეატრალურ ფესტივალზე საუკეთესო სპექტაკლად დასახელდა

თსსუ-ის თეატრმა „ჰიგიამ“ კარგა ხანია მოიპოვა მაყურებლის სიყვარული და აღიარება. სასიხარულოა, რომ იგი ისევე აღაფრთოვანებს მაყურებელს ქვეყნის გარეთ, როგორც სამშობლოში. ახლახან დასი გამარჯვებული დაბრუნდა მონაკოდან, სადაც საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა. ეს გახლდათ მეტად საინტერესო და პრესტიჟული თეატრალური ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდა 40 (ამერიკის შეერთებული შტატები, ესპანეთი, რუსეთი, ირლანდია, შოტლანდია, აფრიკის ქვეყნები, უკრაინა, მაროკო და ა. შ.) ქვეყნის თეატრალური დასები. ჟიურომ გამოავლინა სამი საუკეთესო სპექტაკლი, მათ შორის – „ჰიგიას“ მიერ წარმოდგენილი „ქეთო და კოტე“. შევხვდით თეატრის რეჟისორს, თსსუ-ის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს, ნათია გუჯაბიძეს, რომელმაც ფესტივალზე მიღებული შთაბეჭდილებები გაგვიზიარა:

„ეს იყო ძალიან მაღალი დონის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. კმაყოფილები და აღფრთოვანებულები ვართ შთაბეჭდილებებით და, რაღა თქმა უნდა, – შედეგით. დასამახსოვრებელი იყო ყველაფერი – შთამბეჭდავი დახვედრიდან ფესტივალის ბოლო დღემდე. 25 აგვისტოს საზეიმოდ გაიხსნა ფესტივალი „Red and white“ ფართით – მონაკოს ეროვნული დროშაც, საქართველოს მსგავსად, თეთრ-წითელ ფერებშია და ეს ფერები გახლდათ დომინანტური ჩაცმულობაშიც. ულამაზესი სანახაობის მოწმენი გავხდით ციდან ანგელოზების და ვარსკვლავების დაშვების თეატრალიზებული წარმოდგენის ხილვით, რაც გახსნის ცერემონიალს ახლდა...

ჩვენ მიერ წარმოდგენილ „ქეთო და კოტეს“, ადგილობრივ და სტუმრად მყოფი ქვეყნების მაყურებელთან ერთად, ყველაზე ემოციური მაყურებელიც ჰყავდა – მონაკოსთან ახლომდებარე ქალაქ ნიცას ქართული დიასპორა. მათ სოციალური ქსელის საშუალებით შეიტყვეს ჩვენი წარმოდგენის შესახებ და 35 ქართველი ემიგრანტი ესტუმრა ფესტივალს სპექტაკლზე დასასწრებად. ამაღელვებელი იყო მათი ოვაციები და სიხარული სპექტაკლის ბოლოს, რაც, მართლაც, დაუვიწყარი წუთები გახლდათ როგორც მათთვის, ისე – ჩვენთვისაც.

ფესტივალზე წარმოდგენილ სპექტაკლებს აფასებდა კომპეტენტური ჟიური ცნობილი თეატრმცოდნეების, კრიტიკოსების, მსახიობების მონაწილეობით. ამა თუ იმ სპექტაკლის შემდეგ ისინი ღიად გამოხატავდნენ სათქმელს, გამოთქვამდნენ კრიტიკულ მოსაზრებებს და მართლაც გასაოცარია, რომ ჩვენ-

ნი მისამართით შენიშვნები არ გამოთქმულა.

მონაკოს ფესტივალზე „ქეთო და კოტეს“ განსხვავებული ვერსია წარმოვადგინეთ – უცხოელი მაყურებლის ფაქტორის გათვალისწინებით სპექტაკლი მეტად იყო დატვირთული მუსიკალური თუ ქორეოგრაფიული თვალსაზრისით და, მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, ყველა აღნიშნავდა, რომ ყველაფერი კარგად გასაგები და ზუსტად მიტანილი იყო მაყურებლამდე.

ჯერ კიდევ ფესტივალზე გამგზავრებამდე ვიცოდით, რომ არ იქნებოდა ტრადიციული I, II. III ადგილები, რის შესახებ ფესტივალის გახსნაზეც აღინიშნა, თუმცა, ასევე ვიცოდით, რომ დასახელდებოდა სამი საუკეთესო სპექტაკლი და რაოდენ სასიხარულო იყო, რომ ფესტივალის დახურვის ცერემონიალზე გამოცხადდა „ქეთო და კოტე“ – დაეშვა ჩვენი ქვეყნის ეროვნული დროშა და ჩვენი სიხარული და ემოციები კარგა ხანს გაგრძელდა...“

საუკეთესო სპექტაკლებად დასახელდა, აგრეთვე, ირლანდიის და მაროკოს თეატრების მიერ წარმოდგენილი სპექტაკლები. ფესტივალის მსვლელობას აშუქებდა ადგილობრივი მედია. როგორც ნათია აღნიშნავს, მისთვის განსაკუთრებით ფასეული და მნიშვნელოვანი იყო ჟიურის თავმჯდომარის, ფრანგი თეატრმცოდნის, ერიკ ჯობსონის სიტყვები: „მოყვარული თეატრის მიერ უცხო ენაზე წარმოდგენილმა სპექტაკლმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჟიურიზეც და მაყურებელზეც, რაც, უდავოდ, დასის მაღალპროფესიონალიზმს ადასტურებს“.

თეატრის რეჟისორი მადლობას უხდის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, კერძოდ, თსსუ-ის რექტორს და კანცლერს, ბატონებს: ზურაბ ვადაჭკორიას და ზურაბ ორჯონიკიძეს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდა დასის მონაკოში გამგზავრება.

ნათია სიამოვნებით გვესაუბრა, აგრეთვე, მონაკოში მიღებულ შთაბეჭდილებებსა და დასში მიმდინარე ცვლილებებზე – „ჰიგია“ უკვე დაემშვიდობა ძველ თაობას და ახლა თეატრში განახლების დროა – მოდის ახალი თაობა, არანაკლებ საინტერესო და ნიჭიერი... უკვე ახალ სპექტაკლზე მუშაობისთვისაც ემზადებიან: „ბაჩელორეთ ფართი“, – ასეთი იქნება სახელწოდება ახალი სპექტაკლისა, რომელიც ოტია იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცის“ გათანამედროვებული ვერსია იქნება „ჰიგიას“ ძველი თაობის მსახიობის, მედიცინის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტის, თამარ ჟღენტის, ინსცენირებით. სპექტაკლის პრემიერა ფესტივალ „ნიღაბზე“ იქნება წარმოდგენილი.

ნატო ბოლქვაძე

ახალი სახელმძღვანელო



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების, რეზიდენტების და ექიმი სტომატოლოგებისთვის თსსუ-ის პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მანანა ივერიელის, თსსუ-ის პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის, ნინო აბაშიძის, თსსუ-ის პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, მედიცინის აკადემიური დოქტორის, ხატია გიგოშვილის და მედიცინის აკადემიური დოქტორის, ნინო გოგებაშვილის ავტორობით, გამოიცა სახელმძღვანელო – პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები.

სახელმძღვანელოში აღწერილია პირის ღრუს ლორწოვანი გარსის 100-ზე მეტი დაავადება, აღწერილია მათი გავრცელება, ეტიოლოგია, მორფოლოგია, ლოკალიზაცია, კლინიკა, დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა.

ნაშრომისთვის შეირჩა ის დაავადებები, რომელთა შესწავლა განსაზღვრულია თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებათა დეპარტამენტის სამუშაო გეგმით (სილაბუსით).

სახელმძღვანელოში მოთავსებული 300-ზე მეტი ფოტოს დიდი ნაწილი ავტორთა საკუთარი კლინიკური მასალაა, მთლიანად ნაშრომი კი მათ მრავალწლიან სამკურნალო-პრაქტიკულ მოღვაწეობას ეფუძნება.

სახელმძღვანელო განკუთვნილია სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების, რეზიდენტების და ექიმი სტომატოლოგებისთვის. მასში სასარგებლო ინფორმაციას მოძებნიან, ასევე, დერმატოლოგები, ოტორინოლარინგოლოგები და სხვა სპეციალობის ექიმები.

თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლის წარმატება

ზაფხულში თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი ბადრი მაჭავარიანი, საგასტროლო ტურნეთი იტალიასა და ჩეხეთში იმყოფებოდა, სადაც მონაწილეობა მიიღო ევროპისა და მსოფლიოს ფოლკლორულ ფესტივალებში. საქართველოსთან ერთად ფესტივალის მონაწილეები გახლდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები: ლათინური ამერიკიდან – ჩილე და მექსიკა, აფრიკიდან – სამხრეთ აფრიკა, ევროპიდან – საბერძნეთი, იტალია, უკრაინა, სლოვაკეთი, პორტუგალია, ჩეხეთი, მაკედონია და ლიტვა, აზიიდან – ინდოეთი და ტაივანი.

იტალიაში გამართულ ფესტივალში ჟიურისა და მაყურებლის გადაწყვეტილებით, I ადგილი წილად ხვდა საქართველოს, თსსუ-ის სახალხო ანსამბლს, II ადგილი - ჩეხეთის, ხოლო III ადგილი - ტაივანის ანსამბლებს.

ფესტივალის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იტალიაში, ბატონმა კახა სიხარულიძემ. ფესტივალის ფარგლებში, ქალაქ კავა დე ტირენის მერის ინიციატივით, „ხალხთა შორის ეთნიკური, პოლიტიკური და რელიგიური განსხვავებების მიუხედავად მშვიდობის, მეგობრობისა და ახალგაზრდა თაობების დაძმობილების“ დეკლარაციას ხელი მოაწერეს იტალიის მხრიდან – ქალაქ კავა დე ტირენის მერმა, ბატონმა ვინჩენცო სერვალლიმ, ფესტივალის პრეზიდენტმა, ბატონმა ფელიჩე სორრენტინომ და საქართველოდან ბატონმა ბადრი მაჭავარიანმა.

დიდი წარმატება ხვდა წილად თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლს ჩეხეთში. საზეიმო დაჯილდოება შედგა ქალაქ ჩერვენში, კოსტელეჩის მერიაში. ესწრებოდნენ: ქალაქის მერი, ვიცე-მერი, ფესტივალის პრეზიდენტი და სპონსორები, ჩეხეთის წარმომადგენელი ევროკავშირში და ჩეხეთის პარლამენტის დეპუტატები. დამსწრეებმა საქართველოს დელეგაციას მიულოცეს ევროლიბერალიზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება და წარმატებები უსურვეს თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლს.

თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი მადლობას უხდის თსსუ-ის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, კანცლერს, პროფესორ ზურაბ ორჯონიკიძეს, სპორტისა და ხელოვნების ცენტრსა და სტუდენტურ თვითმმართველობას ანსამბლის წარმატებაში შეტანილი წვლილისთვის.

www.tsmu.edu

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600,
ტ.: 254-24-64

რედაქტორი
ლელა ჯიყაშვილი
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.:555 29 98 27
დარეჯან კომლაძე
ტ.:558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა
newspapertsmu@gmail.com